



## ში ნარსი:

I შამება შეზევან დედოფლისა, სტორიული დრა-	
მა სუთ მოქმედებად ა. მოსსუბარიძისა: . . . . .	3
II საობი (აზრი მაიკოვიდგან) ლექსი თ. რაფ. ერის- თვისა . . . . .	40
III შემოსი დღიური ბეჭედისა (შემდეგი) თარგმანი ეს. მამულაშვილისა. . . . .	41
IV ბერუას ჩატიქება, (ლექსი) თ. რაფ. ერისთვისა	69
V მ. როული ლიტურუატურა (წერილი შირველი) ვრცე- გოლ თრიბულიანი ეგ. ალექსელისა . . . . .	76
VI ხალხური ლექსი . . . . .	91
VII სკოლა და კომიტეტი ან. ლულაძისა. . . . .	93
VIII შარაური მიმოხილვა წლევანდელი საზოგადო კრება ჰელის სათავადაზნურობენისა — კამათობის საგანი — ანგარიში ბაქისა 1832 წლისა — შენიშვნა კრების წევრისა — რევიტი — კამისერა კამიტეტისა თუ ცალკე — განაჩენი — კანდიგაციურა ერთისა — ქართველი შედეგი — უცოდინარობა — მნიშვნელობა კრებისა — ცოდნა უნდა — ორში ერთი — ჩვენი <sup>1</sup> რწმენა და იარაღი — ამაოდ ხსენება ახალ-თაობის სახელი- სა — ახალი განკარგულება მიწათ-მფლობელთა კრების შესახებ — პეტრის რეზაქციონის გამოთხვების გამო . . . . .	100

რადგანაც არა ჩვენზედ დამოგადებულ მიზეზით დასასრუ-  
ლი წერილისა «უკუღმართი ნებიჯი» ამ ნომერში არ მოქმედა,  
ამიტომ წიგნი დაგვიანდა და უძმ სტატიით გამოიცა. იმედი  
გვაქმის, რომ შემდეგი ნომერში მოიქმედი შემოგვაბული და შე-  
ცდილი მაინც.

რედ.

Digitized by srujanika@gmail.com

# ՈՅԵՐՈՅ

ՏԱՅՐՈՂՈՒԹՅՈՒՆ ՀԱ ՏԱԼՈՒՄՆԱԴՐԻՆ

ՔՇԱԽԵԱԼՈ

Տ Տ Ը Ն Ը Ն

Վ Ե Լ Ո Ւ Թ Ա Ծ Ո Ւ Յ Ո Ւ Յ Ո

6 022

№ IV



տօնածութեան

Ավագութեան Կողմանու Եպահա, Հռոմեա-Եպահայութեան վրիգ

1883

## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქციაუმორჩილესადა სთხოვს,  
ვისაც ამ წლის ფული ჯერ არ შემოუტანია, ან ვი-  
საც მხოლოდ ოთხი, ან სამი მანათი აქვს შემოტა-  
ნილი, დააშურონ დანარჩენის გამოვზავნაც, თორებ  
მეტეთე ნომრიდამ ეურნალი აღარ გაევზავნებათ.



၆၁၂၁၈၁

## ကေတာ်သာန လျှော့ဖြူးလျာ

ဝင်နှစ်ရှိနှစ်ပုံ၊ အမြန် ၅ မီးမှုပြော

မြန်မာ အမြန် ၁၇၈၄ ခုနှစ် မြန်မာ ၁၇၈၄ ခုနှစ်

ဒါ ရွှေ့နှစ် ပုံ၊ အမြန် ၁၇၈၄ ခုနှစ် မြန်မာ ၁၇၈၄ ခုနှစ်  
၁၇၈၄ ခုနှစ် မြန်မာ ၁၇၈၄ ခုနှစ် မြန်မာ ၁၇၈၄ ခုနှစ်

## მომქმედნი პირნი:

შეთევან დედოფუალი.

პისტანტინე ბატონიშვილი, შეთევანის მაზლი, გამაჭყადიანე-  
ბული.

მარიამ, ყმაწკილი ქალი, ორმედიც შეთევანთან იზრდება.

შერმაზინ ჩოლაყაშვილი—სპასალარი, ხანში შესული.

მაიხოსრო ლმანი-შვილი, სარდალი ქართველებისა, ყმაწკილი  
გაც.

ნოდარ ჩოლაყაშვილი, სახლთ-უზუცესი შეთევანისა.

ღაეით ასლანიშვილი, ჯარის-კაცი.

ზორჯასპ არაბული, ხევსური.

ვრიდონ, შეთევანის ძიძის-შვილი.

მამუკა, გლეხ-კაცი.

ამირინდო ამილახვარი, ალავერდობას სალოცავად მისული.

შესუფ-ბეგ.

ალი-ბეგ.

სულეიმან-ბეგ.

მუსტაფა-ალა.

შიკრიკი.

ჭალათი.

ღედა-კაცი.

ღიდებულნი: ქადანი და კაცნი, ხალხი, თუშნი, ფშავნი და  
ხევსურნი, მეომარნე, მოჭიდავნი, ყმაწკილი ქალები.

## მო ქართველი კირველი

### გამოსვლა 1.

(სცენა წარმოდგენს შენდლის, რომელის ურთ მხარეს მოჩანს ალავერდის ჟულიუსის ნაწილი და გალავანი. იმას უქით დანარჩენს სცენაზედ მოჩანან დერ ცყიანი და შერე ბელიანი მთები. ურთ ყინულიანი მთები სივრცეში იქარგებინ. ალავერდიმაა. მძღვანელი ქეიფობენ, მღერობენ, თამაშობენ. მაყურებელი ზოგი გაღმოყედებულიან, ზოგიც გაღმომსხდარი გალავანზედ და თამაშას უყურებენ. სცენაზედ სხვა და სხვა ხალხია: ოუმნი, ფუნგი, ხევსური გამოდიან ჭრეულ-ჯგუფად სიმღერით. სცენაზედ გამოდიან მეომარნი, ქაიხლსრო ამანი-შვილის წინამძღოლდნენ, ხალხი მიეგებება).

ხალხი, გაუმარჯოს მამულის-შეიღების, გაუმარჯოს გახოჭმული მეომარს ქაიხლსროს, ქახთა იმედი! (მეომარნი გამოვლენ სცენაზედ, ხალხი შეერევა იმათ, ერთად ფერსულის დააბმენ, რომლის შემდეგაც ზურნა დაუგრძელოს და ღვავრისა თამაშობენ.)

### გამოსვლა 2.

ქაიხლსრო და მორჯასპ! ქაიხლსრო და მორჯასპ!

ზორ. წეალობა ხატისა, მმარ ქაიხლსრო!

ქაიხ. (გადაეხვევა) გორჯასპ! ჩემო მმათ ნაფიცო!.. უნც აქა სარ?...

ბორ. სატობის მოვედ, შეხვეწილი ვიუკ.

მაიხ. აფავერდობის მოხვედ და არ მეწვე, მოხვედ და მმა არ  
მოიგონე!... როციარ გეგადრება?

ბორ. პირი-მზის მაღლმა, წუხელ ჩამოველ... დამის-თევს  
შეონდა შეთქმული.

მაიხ. აქ რომ არ შეგხვედროდი, იქნება არც გი გენახე.

ბორ. მოგივვდა ჩემი თავი!... შენს უნახავად როგორ წავი-  
დოდი?... სხვა? რა ამბავია საჭართველოში?...

მაიხ. მშვიდობიანობის მეტი არაფერდი... კოსტანტინე, მმა  
ჩვენის მეზე დავითისა მოვიდა სპარსის ჯარით... ამბო-  
ბენ შაჰისავას რალაცა აქეს დამარტებული მეზესთანაო. მაგ-  
რამ ჯერ არავინ იცის, რა განზრახვით მოვიდა.

ბორ. კოსტანტინემ სჯული და სარწმუნოება გაჲყიდა და მა-  
მულსაც ადგილად გაჲყიდის, იმას რა საჭმე უნდა შეონდეს  
ქართველებთან?

მაიხ. ეგ ჯერ არავინ იცის!... მეზე დავით და იმათვი მამა აღეჭ-  
სახდერ ეხლა კოსტანტინესთან არის!... ამბობენ დიდის  
შატივით მითლოთ!

ბორ. რჯულის გამუიდაგის პატივი შრილო ჩვენმა მეზემ?!..  
ქასოსრო, კინც სარწმუნოებას გაჲყიდის, ის მმასაც არ  
დაინდობს!... რად წასულა მეზე?

მაიხ. საკვირგელია, რომ კოსტანტინეს არავის გული ე-  
დობა.

ბორ. არც უნდა ენდოს... ვინც პატივის მისაღებად სარწმუ-  
ნოებას უდალატებს, ის მამულს, მმას, ნათესაობასაც არ  
გაისოლდებს.

გამოცვლა 3.

იგინივე და შერმაზინ.

**შერ.** ყმაწვილებს გაუმარჯოს!... მშვიდობა შეს მოსკვდას მთის  
შაგარდენო გორჯასპ!.. გამარჯვება შენც, მამულის სუ-  
ბეჭო, მოძმეთ იმედო, ქაიხოსრო! (ქაიხოსრო და გორ-  
ჯასპ მდაბლად თავს უკრამენ.) რადასაც ლაპარაკობდით,  
სიტყვა სომ არ გააწერებისეთ?

**შორ.** მძათ საფიცს ლაპარაკი რად უნდა ამასთან, დიდებულო  
სოდაადართ!.. იმათ გული ისედაც გაეცილებულია, უსიტ-  
ყოდესც იგრძნობენ ერთი-ერთმანერთის სურვილს, მაგრამ  
თუნდა ეგეც არ იყოს, შენი კვესამუ, ექართგული შეს  
წინ გულს კერ დამაღამს... მინდვრის არწივი მაღვ ამო-  
იკითხავს გულის ჰასუხს.

**შერ.** (ღიმილით) მეც კვითხულობ შეს გულზედ წარწერილს  
და ჩემი გული ჰურმნობს, რომ საქართველო ბედნიერია  
თქვენისთვასა შვილების აფშერდით! მოძმეთ თავ-მოსაწონ-  
ნო, მტერთა ზარის დამცუმნო, გამარჯვებითამც გივლიათ  
უოგელ ქამს!

**შორ.** შენ დორცა სკენთვის ღითას წეაღობაა, შენი კეთილი  
თვალი სკენთვის დაუიდასებელი სახუჭარია, (მძიმედ თავს  
უკვრენ.)

**შერ.** აბა, ქაიხოსრო! კასთა სიბურადე გახილულია და გორ-  
ჯასპ კი ჩვენი სტუმარი, შენ იცი როგორც მოუღასენ!

**შორ.** დიდებული სპასალარო, ჩემი სახლი გორჯასპის სახ-  
ლია... მა მასპინძელია და მე სტუმარი.

გორ. (გადაეხვევა ქაიხოსროს) გორჯასში ერთი სიცოცხლე აქვს და ისიც შენთვის მოუცია, სწავა რიღათი გადაურსადოს მაგ სიუკარულისთვის?

შერ. ასა, უმაწვილებო, წავიდეთ ეპლესიაში; დედოფალი იქანი ბანდება და პარაკლისს ახდეინებს... მევეს მოველოდით და ცოტა დაიგვიანა.

შაიხ. შართლა საკვირველია, რომ ასე დაიგვიანა! ალაკერდობს ის თავის დღეში არ დაჭკლებია და ხალხის დროს გატარება შეუძია თავის მხრარულებით...

შერ. მევე თავის-თავს არ უკუთვნის, ის სალშისთვის უნდა ზრუნავდეს... მევის ხახელი დიდია, დიდ სახელოვანს კი დიდი ზრუნვა უნდა. ბევრჯელ სიამოვნების მოწადინებული, ხალხის ბედ-ილბალზედ მზრუნველი, თავის სურვილს უნდა აკლდებოდეს... წავიდეთ უმაწვილებო.

#### გამოცვლა 4.

ჯერხა გრა ბერლი (ხევსურები ჩხჩქანით და ფარმმლით შეკურვილი)

ჯმუხა. (ხალხი მოსახუეს უქან) ასა, ბერდიავ, უაშად იუპე, თავ უნდა გიკენწლა.

ბერ. გამჟუმი და დამწევი ორნივ ღმერთს ეხვეწოან... დიაც მიმავალ იკვეხის, მიმარც მომავალ.

ჯმუხა. იფარე. (გაიძრობს ხმალს).

ბერ. (გაიძრობს ხმალს, მიწევენ ერთმშერთზე). თანივ მე-ოდანს უკლიან და თანადა-თხ უწიობანერთს უსხლოვდე-

ხიან, რანთვი ჩაცუცჭდებიან და ოჯო-ხმლობენ.) გუე თავს  
მოგხვდა.

ზმუხ. გადაგიხადე.

ბერ. გამაგრდი, შე წუწე!

ზმუხ. თავს მოდის.

ბერ. მიიღახს იერიშს.) სად გარიდ დიაცებო.

ზმუხ. (უკან-უკან იწევს) თავს გაუფირხილდი.

ბერ. ესეც შენ! (ხმალს ძალაც დაჭრავს თავში).

სხვა ხევსურები. (ხმლებით აშველებენ) ბერდიამ ჰესწლებ, ბერ-  
დიამ! (მეომარნი გამორდებიან, ხალხი უღოცავს ბერდიას  
გამარჯვებას. ხალხში გამოდის ერთი ჯგუფი.)

### 81 მოცვლა 5.

ხალხი, მერე გორუების და ქოხოსრო,

ხალ. მურთი მოაჭით, მურთი. (გაიყოფა ხალხი რა-პირად-  
ერთი თავადთაგანი შეა ადგილს ააგდებს მურთს, რომე  
მხარე მიეშურება წასართმელდ. ტრძითან, ხსნ ერთ მხა-  
რეს გააჭის მურთი, ხსნ მეორე მხარეს შემოდინს ქა-  
ხოსრო და გორუებს).

მაის. მეზურნეებს დაუძიხეთ! მეზურნეებს.

ხალ. მეზურნეები, მეზურნეები!

შორ. ესდ გინდა მეზურნეები?

შორ. შარაკლისი კათავდა, ჯარი უნდა შემოგვიყოლოთ და დე-  
ლოდალს მივეტეხოთ, (მოვლენ მეზურნეები) შესხარ ხა-  
ლარის დაჭვარით. (მეზურნეები უტრენ, ჯარი გროვდება.

ზურნას გააჩემებს სელის აქცევით) დარიგდით, დედოფა-  
ლი ეხლავ გამოვა (აუქებს სალხს).

ხალხში ხმა: დედოფალი მობძანდება, დედოფალი! (ზარებიც  
რეკის ხმა. სალხი მიუგებება).

### გამოსვლა. 6.

იგინივე, შეოვეანი დედოფალი, მარიამ, შერმაზინ, ნოღარ,  
და სხვანი, ქალნი და კაცნი.

მეთ. (შემოდის, უმაწვილი ქალები ზეს-ჰეს უკავილებს ფიანძა-  
ზად უფეხებს) კურთხევა თქვენდა, კახეთის უკავილხო, მმა-  
ნო და დახო! (თავს უკრავს უოგელ მსარეს.)

ხალ. (ჭუდ-მოსდით და გატაცებით) სცოცხლობდეს მოუკან  
დედოფალი, სცოცხლობდეს კახო იმედად!

მეთ. (მიუბრუნდება ნოდარს) უბძანეთ საზედო ქვევის მოსა-  
დონ და სალხს დაუქცდენ... მე მიხდ დღეს ყველანი გამ-  
დინა სიარულებენ.

ხალ. სცოცხლობდეს დედოფალი, სცოცხლობდეს მრავალ-ჟა-  
მიერ! (ამთბობენ დახურს «მრავალუამიერს».)

მეთ. აგრეთვე მოსადეთ პურის რამოები და დაურიგეთ აქ  
მუთ კლასაკთა და დაკრძობილობა.

ნოღ. დიდებულო დედოფალო! თქენს გუდ-უსკობს სხმზდვა  
რი არა აქვს, მაგრამ გვადრებთ და მოვასსენებთ, რომ  
კახეთის ზოგიერთს მაზრებში სეტებად ჭირნას უდი წახ-  
დისა და სალხი გაჩირგებაში გახლავს... აქ მოვალეობ  
პურის დამშეუღებელობის უნდა გაუიზონილდეთ.

მეთ. მგონი მე კიდევა მაჭეს რამდენიმე ღრმო ჰური?

ნოდ. დიაღ, დიდებულო დედოფლალო! თქვენი სახლი სიძღიდა  
უ-ულეველია, ისე როგორც თქვენი გულ-უხვობა, მაგრამ  
ის რომოქი თქვენის სამკაულების სასუიდლად გახლავს  
დანიშნული.

მეტა. კურ ხალხი და მერე სამკაულები, ჩემო ნოდარ... უბძა-  
ნეთ ესლა ეგ ჰური დაურიგოს და დამშეულების კი დანარ-  
ჩენი ღრმოქი მოუხადეთ.

ნოდ. წელანგე მოგახსენეთ, დედოფლალო, თქვენი გულ-უხვობა  
ულეველია მეთქი. (მდაბლად თავს უკრავს).

მეთ. თუ ეგენ არ ეყო დამშეულების, მაშინ გახსენით ჩემი სა-  
ლარო და რაც სიძღიდორე, ას სამკაულები მოიპოვოდეს,  
ხალხის გაუნაწილეთ. (ამილახვაოს) ბატონო ამილახვარო,  
რად მოგიწყებიათ?... თუ,—კახეთის დავიწყებია მასპინ-  
ძლობა და ღირსეულად კურ გაუშხარულებისართ?

ამირ. დედოფლალო, სადაც თქვენა ბძანდებით, იჭ მღვეუბის ხე-  
ლი არა აქვს... მარტო თქვენი ხილვაცა გმარა, რომ კა-  
ცი ედემის სიამოვნებას მიეცეს!... და მე, მე კი ოც-გვა-  
რადა კარ დასაჩუქრებული: თქვენის სილვით და თქვენის  
კეთილის თვალით!... რა მაჭეს მოსაწყესი? ჭეშმარიტად,  
დედოფლალო! სულითა და გულით კიდამოვნებ.

პირეელი თავადიშეილი. (მერმაზინის) ბატონო შერმაზინ,  
ჭიდაობასა გმართავთ, დედოფლი სომ არ ინებებს უუ-  
რებას?

შერ. აი ვკათხამ, და... (მიდის დედოფლთან). დედოფლალო,  
ჭიდაობა იმართება, ხომ არ იხებით უფრობას?

მეთ. დიდის სიამოვნებით... მე მიუკრის ჩემის ხალხის აამაში,  
რომელ შიაც სიმარტე, ლონე და გაუ-გაცობა გამოითქმის.

- უბძნეთ აქე გამალობ ხალია, აქედან კუუურებთ.  
შერ. აბა, ქასოსრო, უბძნეთ!... (ქასოსრო მიღის).
- მეორე თავ. ჭინ იჭიდავების?
- პირველი თავ. ჭინ იჭიდავების ჩამოუკანიათ ნაქები ფალავანი...  
ამბობენ, მის ქამხდეს კამბეჩიც კერ გაუმაგრდებათ  
მეორე თავ. არა მგრია, ჩეებს ფალავანის გაუძლოს!... იმის  
ხარმას ჯერ გაცი არ გადარჩენია  
მესამე თავ. მაგას მოედანი გამოაჩენს.
- პირველი თავ. წუხელის ძალიან გაუმარჯვნიათ ქართლელებს.  
(მოიტანენ ხალიჩებს, დორებს, მუთაქებს და შლიან.)
- შეო. უმაწვილებობი ეგ როგორ მომხდარა, რომ ჭახეთში აღა-  
კერდობს გამარჯვება ქართლელებისათვის დაგითმიათ!..  
მე მითხრეს, წუხელ შვიდი ფალავანი წაუმკერიათ ქართ-  
ლელებს.
- შერ. დიდებულო დედოფალო! ქართლელები სურუმოები გახ-  
ლავან, გუშინ ხათოთ შევუნახეთ...
- შეო. (ამიღაახვარს) გუსმისთ, ბატონი ამირინდო, რას ამბობს  
შეზმაზინ?...
- შეირ. დედოფალო! უკან დარჩენილს შინ მშეიდობის მეტი რა-  
კომის!?!... მაგის სიტყვების სიმართლეს მოედანი გა-  
მოაჩენს.
- შეო. (ქასოსროს, რომელიც მიუსალოვდება იმათ.) შენა, წუ-  
ხელ ქასოსრო! შენ გა არ აპირებ ჩილაობას?
- მაის. დედოფალო! საღაც თქვენი კეთილი თვალი ცრობულებს,  
მე ყოველ-გვარის ბრძოლისათვის მზად გახლავარო.
- შეო. (დიმილით) ამირინდო, უს სიტყვები აუგენ შეგუძიათ.  
რაკი საჭმუ ბრძოლაზედ მიკარდება, ჩემი რაიხში მას-  
შინძლოს მოკალეობასაც იუჩემდება.

შერ. დედოფალო! უკუღაფერი მზად გახდავს.

შეთ. მაში დაიწუეთ.

პაიტ. ნება მიძომეთ, ჩემს ფალავანს მივხედო.

შაიტ. ნება მიუცით წავიდეს, დედოფალო, თარუემ თავის ფალავნის დამარცხების თქვენ დაგაბრალეთ.

შეთ. თუ არეა, შეგიძლიანო მიბანდეთ. (დალაგდებიან. ზურნა საჭიდაოს დაუკრავს. ერთის მხრიდან ამირინდო თავის ამხსხავებით გამოიყვანს მოჭიდვე ქართლელს, მეორე მხრიდგან დავით ასლანიშვილი, ორნივ ამხნევებენ ფალავნებს, უსწორებენ ჩოხებს, უკუტენ ჩოხის სახლებს. ჭიდაობაა ქართლელი წააჭევს ეახელა.)

შაიტ. (გაფირობებული დედოფალს) დედოფალო, ნება მიძომე მე ვიჭიდაო!

შეთ. დამშვიდდი ქაბოსორო! ქართლელებიც ჩენი მები არიან. ამირინდოს მიჭყავს თავისი ფალავანი დედოფალთან და ახოჭებს.)

შეთ. ქართლელო, შენ დაგვამარცხე, მაგრამ გამარჯვებული ღირსეულდდ დასახუჭების ღირსია, მტერი იყოს იგი, თუ მოყვარე. ბატონო ნოდარ, გთხოვთ მომდევრავი არ გაუშვათ. (ნოდარ თავს დაუკრავს და ფალავანი გაჭყავს) ბატონებო! ახლა კი სადიღობის დრო არის, გთხოვთ ხადიმად ჩემთან მობანდეთ. შერმატინ, უკუღანი მოიწვიეთ. (ქაბოსოროს) შენც ხომ მოხებდ?

შაიტ. მე სტუმარი მყავს, დიღებული დედოფალ!

შეთ. ვინ არის ისეთი სტუმარი, რომ ჩემთან მოსვლა არ ეკადრებოდეს?

შაიტ. დედოფალო! ..

შეთ. ვინ არის მეორე?

შაიხ. გორჯასპ, დიდებულო დედოფალო!  
შეთ. ჩექნი განთქმული მეომარი, ჩექნი სახელოვანი ზეცსური!...  
მოიყვანე, ქაიხოსრო, მოიყვანე უკრძალად.. ჩემს სახლში  
და ჩემს გულში იმას ყოველთვის ადგილი აქვს, როგორც  
ერთს მამულის ერთგულს, როგორც მისთვის თავ-დაღე-  
ბულს!... მაგრამ აკერ თითონაც (დაინახავს ხალხში) აჭ-  
დაუძახეთ, ქაიხ.ისრო:

შაიხ. გორჯასპ, გორჯასპ! (გორჯასპ მოვა და დედოფალის  
მდაბლად თავს დაუკრავს.)

შეთ. როგორ გეგადრება გორჯასპ, აქა სარ და არა მნახე?

შორ. დიდებულო დედოფალო! გარს ისეც ბევრნი გახმევიან  
და მე კედაო გავიტევ თქვენი შეწუხება.

შეთ. კარგი, კარგი!... მაგ დანაშაულს იცოდე არ შეგინდობ.  
სადილად ჩემთან უნდა მოხვიდე და ბოდიშს იქ მოიხ-  
დი. (თავის დაკვირით) ნახვამდის, უმაწვილებო! (გადის,  
უკეთადი მისდევენ, გარდა ქაიხოსროსი, რომელიც გატა-  
ცებით უუკრებს. სხვა ხალხი დაიშლება).~

### გამოსვლა 7

შაიხოსრო და მერე ზორჯასპ.

შაიხ. (უუკრებს კარგა ხანს) კურთხულიმც იქნები დედათა შო-  
რის, ნაზო, გულ-კეთილო ქმნილებავ!... ნერაოიმც არის  
ის ქვეყანა, სადაც შენებრივ კარდი გაითურნება.

შორ. (შემობრუნდება) ქაიხოსრო, რამ დაგავიქრა, რასა დაპი-  
რაკბ?...

შაიხ. არ ვიცი, მმარ! მე თითონაც არ ვიცი!.. რაღაცა მწუ-  
ხარება, რაღაცა წადილი გულს მიბურავს, გულს მიდა-

დაკა!... მწუხარება გველსაკით გულში შემომპარვია და მღრღნის, სისხლსა მწოვს და მოსკენებას არ მაძლევს!.. დამე უკელანი განსკენებას ეძლევიან და მე კი ძილ-გატე-ხილი მინდვრად და კელად უხდა გავიჭრა, ოომ გული გადაკაულოთ!...

შორ. ხომ არავინ შეგვერებია? (ქაიხოსრო გაწითლდება და თვალს არიდებს) მითხარ, თუ აგრეა, მითხარ, ვინ არის?... მე არა მგონია საქართველოში უარი გითხრას ვინმემ.

ქაიხ. (ოსვერით) არა, კორჯასპ! მე არავინ მიყვარს...

შორ. იქნება უარს გეუბნებიან და თავ-მოუვარეობა მმასთან გა-  
მალვინებს... მითხარ, დ კორჯასპ მოგიგდეს, თუ ერთს  
დამეს-და დაგაფიქროს!... ამაღამვე მოაში გავიტაცოთ!

ქაიხ. მე დარწმუნებული ვარ შენზედ, მაგრამ ეგ არ შეიძლე-  
ბა, არ მოხერხდება.

შორ. (გასარებული) მაში მართალი უოფილა, ვიღაცა გიუვარს.

ქაიხ. (თვალს არიდებს) შენ სცდები.

შორ. კცდები? მაში თვალს რად მარიდებ? რადა წითლდები?... თუ,— მე შენს ამად ნათვიცს, შენთვის თავ-დადებულს მი-  
მაღავ?... ქაიხოსრო! რითი დავიმსახურე შენი უნდობ-  
ლობა.

ქაიხ. (მღელვარებით) მე შენ გენდობი, შენ არაფერს გიმაღამ, მაგრამ... (სასწაროდ) არის ხოლმე ისეთი გულის მო-  
რაბა, ოომელშიაც შენს თავსაც გრ გამოსტეხისარ... გინდა რომ შენს უნებურად გაჩენილი წადილი გულშივე  
მოიკლა... მაგრამ ხედამ — უღონია სარ, სუსტი, არა  
შეგიძლიან-რა!... მიშკელ რამე, მიწამლე რამე, კორჯასპ!

შორ. (დააცმერდება) ქაიხოსრო! შენ დედოფალი გიუვარს!

ქაიხ. (პირზედ ხელს აფარებს) მე ეგ არ მითქვამს!

მოსა... არ გათქამს და აგრე კია... გამოტყდა!

შაიხ. (მოუკით) არა... რას აშენდა... მაგრამ რადა დავძალო  
მე უბედურმას! (მოუხვევა) შიძველე რამე. მე კურძნობ, რომ  
მაგაზედ მარტო ფიქროც და დიდი დაჩაშავდათ, მაგ-  
რამ რა კენა, რომ უოველი იმის შეხედვა, იმისი სიარუ-  
ლი, ამისი სუნთქვა კოსების მიბეჭდებს, და ფავ-ბრუს  
მახველს!... კედავ კოლუბები და ფერები შეჭდგარგარ, კე-  
და უწესობას ჩავდიგარ და რაც კედა შემიუწება!

ზორ. (დაღონებით) ჯუ-კაცს გაძაგვება უნდა, გამაგრდი მმარ,  
გამაგრდა!... წავიდეთ, მთაში, კიადიორთ, კიართ, კო-  
დებე ქიფორთ და დოო. მოგარენს.

შაიხ. წავიდეთ, წავიდეთ გორჯას!... წამიუგანე, მომარჩინე.  
(მოუხვევა) მე, რომლის გულმაც შეძი არ იცოდა, აჭა,  
დამონებული, შემინებული ქეთეკანის თვალთა ელვარების-  
გან, მთაში გავრციდარ, სიმაგრეს კეთარები!... დმერთო!  
(ხელებს დაიფარებს პირისახეზედ. არეულობაა საფხრი,  
შერთება) რა ამხავა?... რა მოჩნდა?!

ხალ. სიკედილი კანს, სიკედილი მოლალატეს.

ზორ. რა მღელვარებაა?

შაიხ. უკეცელია საშინელება რამ უნდა იყოს. (შემოგარდება  
შირივი).

### გამოსვლა 8.

იგინივე და შიკრივი.

შიკ. (დაგლეჭილის ტანისამოსით) ბატონო ქახესრო! გვიშ-  
ელებ... მევე მოგვიგდეს, ბატონი ალექსანდრეც მოგ-  
ვიგდეს!

- მაიხ. და ზორ. (ერთად) კინ მოკლა, რას აშბობ!?
- ხალხი. (მღელგარებს) სიკედილი მოლაპლატეთ, სიკედილი!
- მაიხ. (ბძანებით) გაჩუმდით!... გვიამბე ჩქარა, რას აშბობ?
- შიკ. მეფე დავით და მამა მისი ბატონი ალექსანდრე კოსტანტინებ დაასოციინა!
- მაიხ. და გორ. (გავვინებებით) როგორ?... კოსტანტინებ და ახორციელა თავისი მმა და თხვისი მამა?
- შიკ. დიალ, ბატონო?...
- მაიხ. ღმერთო! ეს რა ესმის ჩემს ეურებს!
- ზორ. ურჯულოს სარწმუნოების გმობა არ ეყოფოდა, რომ კიდევ ასალი ურჯულოება არ ჩაედინა?
- მაიხ. (შივრივს) ეგ რა სთჭიო?... არა... უთუოდ სმენამ მიღალატა. დაწერილებით გვიამბე რა მოსდა, როგორ მოსდა?
- შიკ. სომ მოგეხსენებათ, კოსტანტინებიდის ჯარით მოკიდა და მიიწვა თავისი მმა მეფე დავით და ბატონი ალექსანდრე... როცა იქ გიასელით, ნადირობა გამართეს და ჩვენ კი თან არავინ გვიასლეს... მეფემ კი ბბანა, რომ ჩემს მმას კოსტანტინეს შაჰისგან საიდუმლოდ რაღაცა აქვს დაბარებული ჩემთანაო და ტუში ხმიტოშ მიკიდვართ, რომ იქ მარტოდ შეგვატუობინოსო. ჩექნ დავრჩიო სპარსების ურდოშით რა გვეცოდინებოდა იმათთ განზარსება?... საღამო ხანს, ერთი დაწერილი ქართველი, მეფის მსლებელთაგანი მოკიდა და იმან შეგვატუობისა, რომ მეფე დავით, ბატონი ალექსანდრე ჭ შვიდი დიდებულნი, რომელიც თან ასლდენ, თათრებს დაუჩესიათო!... მე მაშინვე თქვენთან გიასელით, რომ შემეტუობინებინა.
- მაიხ. ოჟ, უკაცურო, უსინიდისო!... სადამდის მიგივანა თავ-მოუკარეობამ?... რა დედამ გმობა, ღვთის პირისაგან წყე-

ულო, მოდალატევ, გაეხო!... ხალხო, გავწყდეთ და ნუ  
შევითხიეთ სიცცჭვილს!

ხალ. გავწყდეთ, გავწყდეთ!

მაიხ. კოსტანტინეს იმედი აქვს, ო ზავიდგან მოიშორებდა  
კანონიერს მეფეს და თავის მამას, თითონ გამეფდებო-  
და... და ვუმტკიცოთ, მმანთ, რომ ავაზაკი კერ გამეფდება  
საქართველოში, ჩვი კერ მიღებს ბატონობის ლისტებას,  
კერ მოიპოვებს სალსის სივარულს!

ხალ. სიკვდილი ავაზაკს, სიკვდილი კონსტანტინეს!

მაიხ. სცოცხლობდეს საქართველო და მასთან დედოფლი ქა-  
თევან!

ხალ. სცოცხლობდეს, სცოცხლობდეს! (შემოვარდება შერმაზინ.)

### გამოცვლა 9.

იგინივე, შერმაზინ და რამდენიმე თავალია:

შერ. (ტუშინებულის სახით) რა ამბავია, უმარწილებო!

მაიხ. კოსტანტინემ მეფე და მისი მამა მოგვიკლა!

შერ. რას ამხობ? (გამტკიცდება შესდგება და წენარად) აჯ!

რა სიმცირეა, რა უკადრისი ქსიმცირე! (ზორბედ ხელის დაიძარებს),

ხალ. სიკვდილი ავაზაკს, სიკვდილი მტკირთა!

შერ. (გამოვარდება) მზრთალი სართო! მათ სიკვდილი ავა-  
ზაკს, სიკვდილი მტკირთა! (საჩქაროდ უდარუნდება.)

(ფარდა)

## მოქადაგა მორია

(სცენა წარმოადგენს დარბაზს, ტახტებით მორთულს და მოღად  
ორხებით მოფენილს. საღამოა. დარბაზი განათებულია.)

### გამოცვლა 1.

შაიხოსრო მარტო

მათ. (ზის დაფიქრებული) გადაწყდა!... უნდა დავრჩე!... უნ-  
და დავრჩე სატანჯველად!... ამას ითხოვს სინიდისი და  
მოვალეობა!.. გამაგრდი გულო, გამაგრდი! შენ მოგველის  
კოჭასეთის წევალება, მაგრამ კაცად იმიტომ გაგწენილ-  
ვარ, რომ უნდა გავუძღვო, ავიტანო! (დაფიქრდება) ადვი-  
ლი სათქმელია «გავუძღო, ავიტანო»!... გავუძღო უოკელ  
უამს ქეთვეასის სიახლოვეს, გავუძღო იმის მიგარებას,  
რომელიც მათრობს, მაგიუბეს, გონებას მაკარგვინებს!...  
ავიტანო გაუწევეტელი ცეცხლი, რომელიც გულს მითუთ  
ქავს, სისხლს მიშრობს და ბოლო კი არსადა სჩედეს?..  
ეგ მარგუნა ბედმა. (დაფიქრდება) არა, არ შემიძლიან!...  
გერ ავიტან, გერ გავუძღება!... კიდევ უნდა კნახო მე მე-  
თვებან? კიდევ უნდა კნახო იმის ცეცხლის. მფრჭები თვა-  
ლები!... არა, არ შემიძლიან, კიდევ გავძღება! (საჩქაროდ)  
რაღად ჩავისხა გულში საწამლავი, რაღად გავიძლიერო

წელული? გასწი ჩემო თავი, გაიქმა, გადაიკარგე სადაც  
სუს. მეტი ნასვა—მეტი მწუხაობაა! (გარბის კანებთან,  
შესძგბა) მერე მამული? მერე ჩემი მოვალეობა?! (მწარედ)  
დღერთო რა მნელია სიცოცხლე, რა მნელია კაცად უოზ-  
ნა, რა მნელია კაცისაგან მოვალეობის აღსრულება!.. (და-  
ფიქრდება) ახლა, ამ საერთო გაჭირვების დროს, როდე-  
საც უოველ მხარეს მოტორი შემოგვსევია და ფიქრობს ჩვენს  
დამარცხებას, ჩვენს დამცირებას, მე გვდას დამიმორჩი-  
ლებია ჩემი გული და გაქცევას ვაპირებ!... გრცსკენოდეს  
ქაისოსრო, გრცსკენოდეს მაგ ფიქრისთვის! (დაფიქრდე-  
ბა ერთბაშად) განმმორდი უკაცურო ლაპირობას! რა ჩელი  
გაქს მეომართან, მამულის-შეიღლთან! შენ ვინ მოგცა ნე-  
ბა, გაჭირვებაში მას თავი დაანებო? (მისწვდება გულს) გა-  
ჩუმდი, შესდექ, მოგვდი გულო!... მამულმა გასესხა სი-  
ცოცხლე და მასკე უნდა დაუბრუნო! (შემოდის მეომარ-  
ქაისოსრო შეკრთვა.)

## გამოსვლა 2.

## იგივე და შეთევან

მეო. (მძიმე შავებში) ქაისოსრო! შენ ვიდეც მოსულისარ?

მაიხ. (მდაბლად თავის დაკვრით) დიალ, დედოფალო!

მეო. (თანაგრძნობით) ჩემო ქაისოსრო, რა რიგად ფერი წაგ-  
სვლია, რა რიგად შეუწებისარ უბედურს შემთხვევას!

მაიხ. განა არ უნდა შეგწუხებულვიუა, დედოფალო, საერთო  
საქმისთვის... მე ქართველი გახლავარ და მეცმის ჩემი  
მოვალეობა.

მეთ. შართალი ხარ, შართალი. უკედა ქართველის მოვალეობას  
იზრუნოს, იწუპოს თავის სამშობლოსთვის, მაგრამ თავ-  
განწირულებამდის, კი არ უნდა მივიღეს. საჭმე, ჩემო ქა-  
იხოსრო, საჭმე!... საჭმე ეჭირვება ჩვენს ქვეყანას.

მათ. (გატაცებით) დედოფალო, საჭმე ეჭირვება, და მეც ვიფა-  
ცავ ვაუ-ვაცის სახელს, ვიფაც ჩემს მამულს, ვიფაც შენს  
სახელს, დედოფალო, რომ სამსახურს ჟაჭმითაც დაგიძ-  
ტიცებთ!

მეთ. შენ მეტად აუღელვებისარ შატიოსახს გრძნობას.

მათ. დიალ, აუგელვებისარ და აგრეც უნდა იყოს... განა მე  
საქართველოს შეილი არა ვარ?... მაგრამ მე რა ზრუნ-  
ვის დირსი ვარ, დედოფალო!... ქვეყანაში მეც ერთ ჩა-  
ლას შევადგენ, დამბერავს ქარი და ვინ იცის საით გადა-  
მაგდებს!...

მეთ. უკედან აგრე ვართ, ჩემო ქაიხოსრო!... მაგრამ ეგ მანც  
ნებას არ გვაძლევს მოვალეობას. კულალატოთ.

მათ. (აღელვებით და მწარის დიმილით) აკი მეც არა ვლადა-  
ტობ, დედოფალო!

მეთ. (რაოდენიმე ხანი სიჩუმე) ქაიხოსრო! შენ ხომ იცი, რომ  
კოსტანტინეს შევა-ვაცები მოუგზავნია!

მათ. დიალ, დედოფალო, ვინი.

მეთ. იცი იშიცი სურვილიდა?

მათ. დიალ, ის ითხოვს, რომ ქაშეთმა მეფედ მიღებას. მაგ-  
რამ ეგ შეუძლებელია, სანამ ჩვენს ძარღვში წევთ სის-  
ხლი სდგას, სანამ ჩვენი გული სცემს.

მეთ. ეგ ხომ გადაწყვეტილია... მაგრამ მაგის გარეთ რას ით-  
ხოვს, არ იცი?

მაიხ. ეგ სათხოვარიც მეტის-მეტია, დედოფალო! სხვა რაღა უნდა ითხოვოს?!

შეთ. უსჯულო არა კმარობს აიდენს ავაზაკობას! ის მე მთხოვთობს ცოლად!

მაიხ. (შეშინებით.) თქვენ!... რა ბძანეთ, დედოფალო?.. არა, სმენამ მიმტუქნა, ეგ აგრე არ იქნება!

შეთ. ნამდვილად, ქაიხოსრო!... მე მთხოვულობს.

მაიხ. მაში მართალია?... მაში ტუშილად არ დადიოდა ეგ ხმა?

შეთ. შუა-კაცები დღეს საჭერილოდ გამოაცხადებენ იმის თხოვნას... იმისთვის შეგუარეთ დღეს.

მაიხ. მერე, დედოფალო! თქვენ რა პასუხი გაჭირ მომზადებული?

შეთ. მაგას გაიგონებ, როცა შუა-კაცები მოვლენ, და ჩექი დიდებული შეიკრიბებიან...

მაიხ. (წაიწევს წინ, მდელოვარებით) იქნება... (ხმა-დაბლად) მაგრამ, მომიტევეთ... ეგ არ შეიძლება, ეგ არ მოსდება!... მომიტევეთ... გონება მეფანტება, როდესაც საჭმე თქვენ შეგეხებათ!

შეთ. (თეალს არიდებს) გმადლობ, ჩემთ ქაიხოსრო, მაგ... მაგ ერთგულებისთვის. ჩექნ ყმაწევილობითვე ერთადა ვართ შეზღიული.

მაიხ. დიაღ... ყმაწევილობითვე... ჩექნ... შეკეჩიენთ ერთმანერთს... მერე თქვენ შეიქენით ქახთა დედოფალი... მე კი თქვენი ერთგული ქვეშეგრძომი...

შეთ. (იქით) ღმერთო, ძალა მომეც, აღვასრულო ჩემი ვალი! (ქაიხოსროს) გორჯასპ ხომ მოვა ამაღამ?

მაიხ. დიაღ, გიახლებათ.

შეთ. მე მინდოდა მეთხოვნა, ხევსურნი მოჟველებინა ჩენთვის.

მაიხ. გორჯასპ ჩემი მმაა, დედოფალო, და მაშისადამე თქვენთვისაც თავ-დადებული! ის თქვენს ბძანებას ელის. (მე-მოდის მარიამ).

## გამოსვლა 3.

იყინივე და მარიამ.

მარ. (თავს უკრავს ქაიხოსროს) დედოფალო!... ეპისკოპოზი გისლათ, რაღაცა საიდუმლო აქვს თქვენთან სათქმელი.

მეტ. მე ქაიხოსროსთან დამალული არა მაქვს-რა, მოახსენე აქ შემობმანდეს.

მარ. ის მოგახსენებს, რომ დედოფალი ცალკე უნდა ვნახოვთ.

მეტ. (უსიამოვნოდ) ნერა რა უნდა?... უჰეგლია, საჭმე ჩემს სამეფოს შეეხება და სალხის საჭმე კი მე არ მიხდა სალხს დაგუმალო! (მიდის, მარიამ, მისდევს.)

## გამოსვლა 4.

მაიხოსრო, მერე ნოდარ და დიდებულნი,

მაიხ. (დაფიქრებული დგას) უწმიუნოვ! ახლა ეგ უსაფულოება.

მოიგონე, რომ რძალი, შენის მძის ცოლი შეირთო?... წერას აუტანიხარ, ფოსტატეტინე, გაფორილდი, გაფორილდი!... შენ ქართველებს ქოსტაშები, მაგრამ თბილთან ხუმ-ილობა, ისე ადგილი არ არის, როგორც შენა გვალხდა. ცო-

ტანი კართ, მაგრამ შეხედე ჩვენს მთებს, ჩვენს ტუებს,  
ჩვენს ბუნებრივ სიძმის და თავ-გადადებას საქონო საქ-  
მისთვის, შეხედე და დარწმუნდები რომ ერთს ათობა შე-  
უძლიას!... მაშ გაფოსილდი, თორემ... (ერთბაშად თავ-  
ში სეღს წაივლებს) ქეთევანი რომ დასთანხმდეს?... მის-  
თხოვდეს, მაშინ?... რ-რ! მაშინ ჩემთან გაქნება საჭმე,  
საკუთრივ ჩემთან, კოსტანტინე, და გევიცები ქეთევანის  
სახელს, რომ ჩვენში ერთი-ლა ივლის დედა-მიწაზედ, ერ-  
თი-ლა დასტებება მზის სსივით! (შემოდის ნოდან.)

## გამოსვლა 5.

იგინივე, ნოდარ, შერმაზინ, ლეიიო, ურიდონ და  
დიდებულნი (შევებში).  
ნოდ. მობძანდით, ბატონებო, მობძანდით! (შემოდიან დიდე-  
ბულნი და დასხედებიან.)

შერ. (ცოტა სიხუმის შემდეგ) ბატონებო! თქვენ კარგად მო-  
გეხსენებათ კოსტანტინეს მარცვინო მოქმედება... ნა-  
მუსის, სინიდისის და კაცობრიობის წინააღმდეგ მან და-  
ივიწყა ძმისადა შეიღის შოგალეობა, მან უარ-ჟერ სარ-  
წმუნოება, ჰგმო სული-წმიდა და ამ სიბილწისთვის მო-  
პოვა შაჟ-აბაზის წყალობა და (მეგობრობა... იმან მისცო-  
ჭარი და ას ჩვენს მამულს უგვი შემოეხვივნენ ურჯულო-  
ნი, ამათის შემწეობით კოსტანტინე კახეთში გამეფების  
აპირებს და იმას კი ივიწყებს, რომ ამ წადილის მისად-  
წვად მარტო შაჟ-აბაზის და სპარსელების თანაგრინობა

რო კმარა. აქ ეჭირება ქართველთ თანხმობა, ქართველთ  
მისმონაბა, ქართველთ მატიცის-ცემა!... კერც ერთს ამ  
გრძნობას კურ დამსახურებს მოღალატე, ოჯულისა და  
ურის გამყიდვი, მამისა და მმის მკელელი აუზავი!... სხვა  
ოჯულის სალხი კურ იხარებს საქართველოში, იგრ კურ გა-  
იდგამს ფეხებს; იგი კურ მოგცემს ნაუოფს!... ითიჭ-  
რეთ, დადებულნო, გადასწუგიტეთ: შეგვიძლიან მივიღოთ  
კუსტინტინეს სურვილი, შეგვიძლიან დავნებდეთ?  
შეელანი. არასოდეს, არასოდეს!

ზორ. კაცის მკელელს სისხლი მოჟთხოვების... მამისა და მმის  
მკელელი ჩამოსაღრმობა, რარაღი წაიძილწების მის მიე-  
რებით... აქ რა დაპარჩკი გვინდა, წავიდეთ, ძაღლსაკით  
დავაღრჩოთ.

შინე: ბატონებო! მე მიკვირს წინადადება განთქმულის სპასა-  
ლარისა... მაგის სიტყვებს ადგილი არა აქეს ჩენის კრუ-  
ბაში, უკულა ქართველს შეეძლიან იულს ქართველი და  
მხოლოდ ქართველი!... მას შიში და მაღა კურ შეკურთხობს,  
კურ არცლევინებს ფეხს... ჩენ ეს დაგვიმტკიცეს ჩენთა-  
წინა-პართა მათ გაგვიგვადეს გზა და მათს ნაკვალავს უნ-  
და მიკუპეთ!... თუ უბრძეულებამ დაგვძალა, გავწუდეთ პირ-  
ზე ღიმილით, გავწუდეთ დარწმუნებულნი, რომ ჩენის მო-  
გადუობისათვის არ გულალატნია? შეელანი. გავწუდეთ, გავწუდეთ!  
შერჩ, ჩემი მოკუდსაკით გათეთრებული თბის ამტკიცებს ჩემს  
ხნიერებას, მაგრამ თქვენის სიტყვების გამგონეს გული მი-  
ღლალდება, სისხლში ძაღა და სითბოება მემატება... ეხლა  
შემიძლიან თამამად წარკსდგე ჩემს წინაშებთან და ამა-  
უდ გუთხრა: საქართველოს სახელი ბრწყინავს, მას დარ-

ჩა დირსეულნი შვილნი, ოომელნიც მის ღამპარს, არ განაქობენ! (ძლელკარებით) მოდი, ქაიხოსრო, მოდი, ჩემო შვილო! მშობელსა სურს გულში ჩაგიკას, მიუახლოებს თავისი მკერდი შენს მხნე მკერდს. (მოქაცევა) მაშ გადავწყვიტოთ ბრძოლა, ბრძოლა სახამ უკანასკნელი წვეთი სისხლი მარტებში დაგვიჩება... ეხლა უნდა მოგახსენოთ, დიდებულნო, ოომ ქეთევან ვერა ჰედევას დედოფლიბის მიღებას თავის-თავზედ... მობეზრებულა იგი ამ სოფლის ამაობით და სურს მოსოზნად შევიდეს, ოომ თავის ხალხის ბედი დედა-ლვილის შეავედოთს.

**შველ.** ეგ არ შეიძლება, არ იქნება!

**ბორ.** ქეთევანია დედოფლი, მან უნდა იძატონოს, კიდრე მისი შვილი თეიმურაზ წამოიზდება.

**შაიხ.** უმაგისოდ ჩეკნში განხეთქილება ჩამოგარდება, კახეთი დაიღუპება.

**შერ.** მაგის გარეთ უნდა შეგატყობინოთ, ოომ კოსტანტინეს შეა კაცები გამოუგზავნია, ოომელნიც ამ ცოტას ხანში აქ მოვლენ.

**ბორ.** რად გვინდა იმათი მოსკლა, იმათი შეა-კაცობა, ჩეგნი პასუხი გადაწყვეტილია... შენ ქეთევან გვაჩვენე და შეგვმუდარნეთ არ დაღუპოს კახეთი.

**შერ.** დედოფლი ეხლავ აქ გამობანდება, აგრე მცონია კიდეც მოდის! (დიდებულნი ივესზედ წამოდგებიან, შემოდის ქეთევან და მარამ, უკანას მდაბლად თავს უკირენ, ქეთევან გან ჩამოკდება.)

გამოსვლა 6.

იგინივე, შეთევან და მარიამ.

შეთ. ბატონებო, დაბძანდით.

ბორ. დედოფალო! მე მთას კაცი გახლავარ და მაშასადამე პირ-  
ში მთქმელი... შემინდე კადნიერება, მაპატია გაბედულო-  
ბა, მაგრამ უნდა შემოგეადორო, მოგახსენო... შენ დედა  
ხარ ჩვენი, ჩვენ შენი შეიღები. მიიღე მუდარება ჩვენი,  
ნუ უკუგდებ შენს ხალხს, უკულას შენგან უჭირავს თვა-  
ლი!

შაიხ. თუ შენ დაგვანებუ თავი, დედოფალო, უთანხმობა ჩა-  
მოვარდება და მოელი საქართველო შეიმუსრება მტერთა-  
გან!... არა, დედოფალო, თქვენ უარს კურ იტევით ჩვენს  
თხოვნაზედ.

შერ. დედოფალო, ხალხი ითხოვს თქვენს სამსახურს, მარ-  
ტო თქვენ გერმუნებიან, თქვენდამი მოუპერიათ, თვა-  
ლი.

შეთ. ხალხისთვის თავის შეწირვა წმიდაა და შეუგინებელი, მის-  
თვის ბრძოლა სასახელოა და მოგალეობაა უოველის სუ-  
ლისა... მაგრამ, ბატონებო, მე არ შემიძლიას ერთს უდო-  
ნო დედა-კაცს?... მე მინდა თავი შეგწიროთ, გემსახუ-  
როთ მით, რითიც შემიძლიან; მაგრამ ხალხის გამგეობა,  
კიკისრო, როდესაც ჩემს თავზედ დარწმუნებული არა ვარ,  
— ეგ არ შემიძლიან, ეგ არ შემვენის ნამდვილს საჭარ-  
ო თველოს შეიღს.

შველანი. დედოფალო მიიღე ჩვენი თხოვნა, ჩვენი მუდარა...

დედოფალი დედას თავის ხალხისა, განა მშობელს ნება  
აქვს გაჭირვებაში შვილს თავი დაანებოს?

მეთ. (გრძნობით) ნეტა შემეძლოს, გავიპო მკრდი, ოომ და-  
მენას გებინა; ოოგორა სურს ჩემს გულს თქვენი სამსახუ-  
რი, თქვენთვის თავის შეწირვა... მაგრამ მე არ ძალმიძს  
გავხდე ხალხის მეთაურად, ოოდესაც დარწმუნებული ვარ,  
ოომ ჩემზე ნიჭირები იპოვებიან, არ ძალმიძს ვიკისრო  
მოვალეობა და იმედი კი არ გავაშაროთლო.

(კულისებიდამ ხალხის ხმა:) სცოცხლობდეს დედოფალი ქათუ-  
ვან! სცოცხლობდეს!

შერ. გესმით დედოფალო! ხალხი თქვენ გითხოვთ, თქვენ მე-  
ტი არავინ უნდა!... დედოფალო, თქვენ უარის ნება არა  
გაძო.

მეთ. ღმერთო მაღალო!... შენ მომეც ძალა და გონება!... ნუ  
მიმიკან იქმდის: ოომ მაკისრებინო, ოისიც აღსრულება  
არ შემიძლიან... დაიხსენ ეს ერთ ჩემის სელიდგან, თუ  
მათი გაბეჭნიერება არ შემიძლიან!

მარს. (აღელვებით) მაშ თანახმა ხართ; დედოფალი?

მეთ. სიხარულით გული თრთის, ჩემო ქაიხოსრო, ოოდესაც  
გესმის ხალხის ხმა, ოომელიც შენ გენდობა, სიუკარუ-  
ლით შენს უასელა ახსენებს, შენგან შეედის მოედის!...  
ამ ხმას კაცის გაგიება შეუძლიან, მაგრამ გაკედრებით,  
ხვალამდის მომთმინეთ, შოვითიქო, მოვიზრო!

შეელანი. მუხლ-მოდრეკით გმედრებით!

მეთ. უმაწვილებო, ხვალამდის, მხოლოდ ხვალამდის.

მარს. (აღელვებით) მაშ გვიძანე, — მიკიდეთ და კოსტანტინეს,  
აკაზაკს და ჩვენის ერთს დამხობის მსურველს მუხლი მო-  
გედრიყოთ?

მეთ. (თვალები აენთება) კოსტანტინე არის სული-შმიდის მგმო-  
ბელი!... მამისა და მმის მყვლელი! იმისთანა ბილწი, უწ-  
მინდური ხალხის მმართველად კერ გახდება!,.., ის გაზა-  
კია და უნდა დაისაჯოს!

შერ. ბატონებო! მეტს ნუღარ შეგაწუხებთ დედოფლადს!... ხვა-  
ლამდის დაუაცადოთ, ჩვენ კიდევ დრო გვაძეს: კოსტან-  
ტინეს შეა-კაცები ეხლა აქ წარმოსდგებიან თქვენს წინა-  
შე. სანამ ისინი პასუხს არ მიუტანენ, მტერი გადაწევე-  
ტილებას არ მიიღებს... იმათ უალერსებს იმედი, რომ  
სიტუკითაც დაგვიმორჩილებენ, მაგრამ სიკვდილი იმ სა-  
ჭართველოს შვილს, რომელიც მათ დამორჩილდეს,

შველანი. სიკვდილი, სიკვდილი!

ჩაიხ. ხვალამდის გელით დედოფლალო, ხვალ კიდევ მოვლენ  
შენი შეეშევდომნი, ხვალ მშობლისგან სამსასურს მო-  
სთხოვენ იმისი შეილები!

მეთ. კარგი, ჩემთ ქაისოსრო, კარგი. (შემოდის კარის-კაცი).

### გამოსვლა 7.

იგინივე და კარის-კაცი, შერე ალი-ბეგ, სულეი-  
მან-ბეგ, და მუსტაფა-ალა...

კარის-კაცი. შეა-კაცნი გიახლენენ!

მეთ. (შემაზინს) მიიღე. (შემაზინ მივა კარებთან და მოა-  
ჰარისებს.) მობძანდით, ბატონებო, მობძანდით. (შემო-  
დიან ალი, სულეიმან, მუსტაფა, მივლენ წენარად, დაუკა-  
რენ თავს დედოფლადს, მუსტაფა დაიხრები და შეთვავნს,

წერილს მიართმევს.

მუს. კახეთის მნათობო, მოგვირთმევია სალაში და მასთან წერილი დიდებულის კახთა მეფის კოსტანტინესთ.

მარ. (აინთება და ხმალს გაიღებს ხელს) თქვენ გიფარავის შეა-კაცობის სახელი და იმისთვის ჭიდავთ მაგ ლაპარავის... კოსტანტინე აკაზია და არა კახთა მეფე... მისი სამეფო საპურიობილება, მისი ტახტი საღრმობელა.

მუს. რაინდო, ნუ ჩეარობ!... კოსტანტინე ძლიერია, იმას შაჟი ჰყავს მოვარევულად.

მეთ. დამშვიდდი, ქაიხოსრო! დამაცადე ლიოსეულს ლიოსეული შასუხი გუგო! (მარიამს) შვილო მარიამ, გამოართვი წერილი და წაგვიყითხე.

მარ. (გამოართმევს წერილს და კითხულობს) «შეწევნითა ლვთითისათა და მის მოციქულის მაჟმადისა, მე, მეფე კახეთისა, კუცხადებ ჩემს ქვეშერდომთა, რათა კამოცხადდენ ჩემთან, მომიტანოს დროში და გასაღები, ქალაქებისა.. მოწინააღმდეგე სააქალს დაისჯება წამებით და სიკვდილით... მოწერების ჩემის მმის საცოლეას ქეთევანს, მოამზადოს დარბაზი ჩემს მასაღებად და თითონაც მოემზადოს ჩემთან ქებინის გასაჭრელად...»

ხალხში მოძრაობაა. ღმერთო!... ეს რა გვესმის!?

მარ. (კითხვას გაავძელებს) «მომზადოს ჩემთან ქებინის გასაჭრელად, რადგანაც მაჟმადის სარწმუნოება, რომელსაც კემსახურები, მე მაკუთნებს მაგის თავს, როგორც ჩემის მმის საცოლეას.»

მეთ. (განრისხებული უუგრებს შეა-კაცებს) სწავა!.. რადას გვიძენებთ კიდევ?..

ალი, დედოფალო! აქთებენა ხართ მიძანებული, ჩეკნა აღმას-

რულებელნი!...

მეთ. უთხარით კოსტინტიინეს, რომ უწინ ქვეყანა პირ-ქვე  
მოიქცევა, მდინარენი უგან გაბრუნდებიან, ვიდრე იმას  
რომელიმე სურვილი აუსრულდება. უთხარით, რომ ის  
არის მოღალატე, გამსუიდავი თავის სარწმუნოებისა, უთ-  
ხარით, რომ კახეთი და მასთან მთელი საქართველო უც-  
ხადებს მას ომს, როგორც სხვა გვარ-ტომობის მოსამ-  
სახურეს, რომ მის სასჯელი უკვე გადაწყვეტილია. მთე-  
ლი საქართველო აღსდგება ერთ-ხმად და ვიდრე უკანას-  
კნელის სისხლის წევთიდგინ არ დაიცლება, მტერს თავის  
მამულზედ არ ახარებს... ეგ არის ჩვენი პასუხი, გამ-  
დოს ურცხვმა, თუ რამე შეუძლიან.

შეელ. მართალია, მართალი.

ძლი, დიდებულო დედოფლიო! გავბედავ და კვალად გბად-  
რებთ...

მეთ. (გააწყვეტინებს) სმა!... მაგ საგანზედ სიტუა აღარ გას-  
ძრათ... ეხლა გავათაოთ მაგაზედ ლაპარაკი. თქვენ სტუმ-  
რები ხართ აქა დ ჩვენი მოვალეობაა გაგიმასპინძლდეთ...  
ნოდარ!... ამათ გარგად დაუსვდია...

ნოდ. (თავს დაუკრავს დედოფლის. სპარსელებს) მობძანდით,  
ბატონებო.

მუს. ედემის უვავილო! თქვენის ქვეუნის პურადობა განთქმუ-  
ლია... ჩვენი სურვილი მხრილოდ ის არის, უბრალოდ.  
სისხლი არ დაიღვაროს.

მეთ. მე გავათავე. საქმეს იარაღი გადასწყვეტს.

მუს. (შეწუხებოთ) მაშ უნდა ვიძობოლოთ?

მეთ. დიალ, კიბრძოლოთ, კიბრძოლოთ შეკუალებლად!

მუს. დედოფლიო, გადას გავბედავ...

შეთ. (გააწეულინებს). ნასვამდის, ბატონებო! (თავს უკრავს.) მუს. ნუ გაგვირისებდები, დედოფალო! (თავს უკრავს. სპილსებ-ლები მძიმედ თავს უკვრენ და წოდართან ერთხდ გადიან.).

შერ. მაშ სკალამდის, დედოფალო! ჩვენც გიახლებით, მოსკენება გეჭირებათ! (მდაბლად თავს უკვრენ უკალანი, და გადიან).

### გამოცვლა 8.

შეთევან და მარიამ.

შეთ. წავიდეთ, შვილო მარიამ, ხალვათს, მიშველე სამქაულები მოვიხსნა... ამაღამ ბევრი საფიქრებელი მაჭის. (გან-რუდებიან. ქეთევან ხელი გადასცვეს და გადიან).

### გამოცვლა 9.

დედა-კაცი და პოსტანტინე.

(სცენა ბნელდება. რამოდენიმე ხანს ცარიელია. შემოდის წყნარად დედა-კაცი).

დედ. (შემოიხედავს კარგიდგან). მობძანდი, მობძანდი.

პოს. (შემოდის ნაბადეა და ყაბალახში გახვეული) კარგი, შეგიძლიან წახვიდე.... თუ საშიში ნახო რამე, ხველა ას-ტეხე... ეს ფანჯარა ხომ ბაღში გადის?

დედ. დიაღ, შირდაპირ... ბადის ბოლოს ცხენები და გაცები  
დაგხვდებათ.

ქოს. კარგი, წადი. (დედა-კაცი გადის).

## გამოსვლა 10.

ქოსტანტინე, მერე ქეთევან.

ქოსტ. (აღუღებული) ღმერთო! ო მომდის?... ოდა კარ ასე  
მოუსვენრად?... აჭა, მიგაღწიებ ჩემს საწადელს, წინ კე-  
დარა დამიდგება-რა: კერც მამა-ჩემი, კერც ჩემი მმა. დღეს  
თუ სკალ კახეთის მეფე შეკრწები და რაოდენიმე ხნის შეძლებ  
— მთელის საქართველოსი!.. დ როდესაც უკელა მოუმართე,  
როდესაც საჭმე თითქმის დავაბოლოვე, რაღაცა გულს მი-  
წესებს?... ნუ თუ ეს გრძნობა ქეთევანის სახლოვით მო-  
დის?... ნუ თუ ეს შიშია, დედა-კაცისგან აღმრული ში-  
ში?... (დაფიქრდება) მე კვირე სარწმუნოება, არ შეკიბრალე  
მამა, ყრუდ დავრჩი ჩემის მის სკეწნისადმი, შეუბრალებ-  
ლად დაგსოცე ისინა მსოლოდ იმისთვის, რომ ქეთევანი  
დამესაკუთრებინა. და ამოდენი წევალება, ამოდენი გულის  
დუღილი იმისთვის გამოვიარე; სამშობლოს, ჩემს მიწა-  
წყალს იმისთვის მოვშორდი, რომ დღეს გულის-ძეგრით,  
როგორც ლაჩარი, მშიშარა დიაცი, უკუ კიშტე?... არა, მე  
საკმაოდ ვიტანჯე, საკმაოდ ვეწვალე და სწორედ ამით  
დავისაკუთრე ქეთევანის სიყვარული და სხვა გზა არ არის,  
უნდა მიმიღოს!... გასწი, კოსტანტინე, შენ არ გცოდნია  
უკან მოხედვა, შენ არ გცოდნია შედგომა, როდესაც წინ

გასარიგებელი საქმე კიძევს და გერც ეხლა შესდგები...  
ქეთევან გიუპარს და შენი უნდა იყოს. (მიიმაღება თა-  
ღებ შეა.)

## გამოცვლა 11.

ქეთევან და მარიამ (რომელსაც სელში სახითელი უკი-  
რავს. სცენა გასათლდება.)

ქეთ. (შემოდის თბა-გაშლილი, თეთრის ტანისამზადით, ფერ-  
მკრთალი) შვილო მარიამ! დადგირ შახდალი და თავი და-  
მანებე... უნდა შეგვედრო ჩემს სასო და სასიქადულო  
ღვთის-მშობელს, რომ მან მომცეს ძალა და ღონე იმ  
მმამე ტკირთის საზიდავად, რომელიც შედია მარგუნა.  
წადი, შვილო, შენც იღოცკ. (აკოცებს შებლში და გაის  
ტურქებს. ცოტა სიჩემის შემდეგ) საუკარელო მომშენო!..  
თქვენ ითხოვთ, რომ თქვი შემოგწიროთ და აწა მიიღო,  
მომიტანია მსსკერპლად... ვისი გაჭებებული გული დარ-  
ჩება უკრძალებლად, ვის შეიმურცებს თავს, როდესაც მა-  
მულს და ერს გაჭირებაში ხედავს?... ქალები ვართ,  
ბრძოლა არ შეგიძლიან?. განა ძუ-კეფუნი არ იბრძვის  
შვილების დასაფარავად?, ნუ თუ ჩვენ პირუტყვებზედ  
დაბლა უნდა ვიდგეთ?... არა, ქეთევან, შენ ადამიანი სარ  
და თავ-გასწირულებაც მეტი უნდა გჭრნდეს!... შენ მო-  
აზრება ვაჭვს და შენი მოვალეობა მეტად უნდა გესმო-  
დეს. დადი, შატარა, ვაცი, ქალი, უკელანი უნდა შეერთ-  
ებ, უკელას სასასელოდ უნდა მიაჩნდეს ბრძოლა სამშო-

ლოსათვის. (მიბრუნდება, კოსტანტინე გადიგდებს ხაშადს  
და გამოვა, დასრულდება აპირებს..).

პოს. ქეთევან!

მეთ. (შეკრთება) კოსტანტინე!

პოს. გივვილს რომ აქა ვარ?

მეთ. რა გინდა, როსთვის მოსულხარ?

პოს. (მიიწევს, რომ სელი მოჰყიდოს) ქეთევან, გამიგონე..

მეთ. (სიტუაციას გააწერებინებს) არ მომეკარო!.. რამ გაგამედვინა  
აქ შემთხველა, ამ სიწმინდის ტაძარში, სადაც მარტო შე-  
ნი მიკარებაც კი ცოდვად ჩაითვლება?

პოს. ქეთევან! გამიგონე, შემიძრალე!... გვედები, გატანჯები...

შენი სიყვარული მოსკენებას არ მაძლევს!..., მან მომა-  
შორა სამშობლოს, გამომაცელებისა სარწმუნოება, მომაკ-  
ვლებისა მამა, მმა და უბედური გამსადა!... ამდენი ავ-  
გაცობა. შენის გულისთვის ჩავიდინე. გუცადე მოგ მორგებო-  
დი, დამეკიწუე, მაგრამ გამსეცებული სიყვარული გულს  
მიღრდნის, მისოვავს და მოსკენებას არ მაძლევს!... რამ-  
დენიც მინდა გაგმორდე, იმდენი გონება შენ გიასლოვ-  
დება, რამდენისაც შენს დაკიწუებას გცდილობ—იმდენად  
მეტად მიღელდება გული შენთან შეერთების სურვილით...  
შენ, გონიერი ხარ, ქეთევან,—განსაჯე.

მეთ. ადამიანი მით განესხვავება ჰირუტუკს, რომ მოაზრება აქვა  
და გონებით გრძნობას იმორჩილებს... ვინც გაშმაგებას  
კეთ შეიკავებს, ის შებრალების ღირსი არ, არის..

პოს. შებრალების ღირსი არ არის?... ღმერთო ჩემო! მე მინ-  
და დაკიძორჩილო ეგ გრძნობა, მაგრამ რა ვქსა, რომ  
გრძნობა სძლებს გონებას და ჩემსავე უნებურად მიმორ-  
ჩილებს, ერთის კიდურიდგან მეორეზედ მაგდებს.., მე

კოდილობ გაგშორდე, გწეველი, გიშორებ თავიდგან, მაგრამ რაღაცა ძალა პირში სიტყვას მიღევს, გული შენს ფეს-ქეშ მაწყვეტს!... მე ადამ მესმის რას ვჩადი?... ცხადად, სიზმრად, ფიქრად, უკელგან შენა სარ, უკელგან შენი სახე მესატება!... შენ შეგიშერია. ჩემი გული, უოგელ ჩემს სისსლის წევთში შენი სასელი ჩასახელა და უოველ მოძრაობაზედ ცხელს შანთებსავით სწავს, სდალავს ტვინს, გონებას, მთელ სხეულს...

**შეთ.** შენ ამბობ,—გიყვარვარ და იმისთვის, რომ ჩემი თანა-გრძნება, მოიპოვო შენ ბოროტებას გამოუდექ?... მის-თვის მოჯერალ შენი მამა, შენი მმა?... მისთვის ჰგმე სული-წმინდა, მისთვის ულალატე შენს სამშობლოს?...

**პოს.** (მწერალებით) ქეთევან...

**შეთ.** (გააწევეტინება) და ამდენის სიმცირის შემდეგ შენ წე-დავ იმედი იქონიო ვისმე თანაგრძოლაზედ?!.. შენ წევული სარ და წევულიმც იქნება ის ქართველი, რომელიც შენ მოგვარება, რომელიც შენ სელს მოგაწედია!

**პოს.** ოჯ, ღმერთო! შენ ამბობ ქრისტიანი ვარო და ქრისტია-ნელი შეწეალება კი არა გცდდია!

**შეთ.** როთი დაიმსახურე ეგ შეწეალება? ქიოთ-ჭთჭმელის ავაზა-კობით თუ?.. ერთი ცოდო მეორეთი თუ ვინდოდა შე-გერიდა, ერთი აკაცია—მეორეთი? არა, შენ საზიზდა-რი სარ და მეზიზლება!

**პოს.** ქეთევან, იქონიე შეწეალება!... მიჩვენე გზა და ნახავ...

**შეთ.** (გატაცებით) შედი მონასტერში, იღოცე ღმერთი, უარ-ჟევ უოველივე ამ სოფლიური ფუფუსება!... ზუცირი მამა გულ-უხვია, ის შეგინდობს შეცოდებას...

**პოს.** (მღელგარებით) და შენ?

შეთ. მეტ გეზოცები დედა-ღვთისას, ორმ კილოცავ, კილოცავ განუწყვეტილივ შენის სულისთვის... (კოსტანტინეს მღელგარება დაეტურბა) შეგვჯერებ ზეციერ მამას, ორმ მან მოგიტევოს, მიგიღოს სასუიეველსა შინა... (სიჩუ-მეა რაოდენიმე ხანს) მიპასუსე, კოსტანტინე, თანახმა ხარ?

პოს. (მღელგარებით) და... შეხთან შეკავშირებაზედ კი უარი უნდა გსთვია?...

შეთ. (მკაფრად) ნუ ჭიმლი ღმერთს, ნუ დამორჩილებისარ მაც-დურს.

პოს. (ყრუდ) არ შემიძლიან!

შეთ. (მწესაცებით) კარგად იფიქრე რას სჩადი, რას აშიობ.

პოს. არ შემიძლიან.

შეთ. (მკაფრად) მაშ გადი აქედგან.

პოს. (მწესაცებით) შეწყალება აღარ არის?

შეთ. (მკაფრად) გამეცალე!... მე სელი დამიბარა შენგან.

პოს. (მთრთოლარეს ხმით) ქეთევან...

შეთ. (გააწევეტინებს) გამეცალე, მეთქი!

პოს. (ჩქარის ლაპარაკით) შენ ეხუმრები ქეთევან გაშმაგებულის კაცის გრძნობას, შენ არ იცი რა შეუძლიან ჩემს უოთაში კაცსა.

შეთ. აკაზაკს ღმერთი გამარჯვების არ მისცემს, გამეცალე!

პოს. შენ ეხლა მაგდებ, მაგდებ იმიტომ, ორმ ძალა გაქვს გი-დევ, მაგრამ სკალ, სკალ მე თითონ ძალით მოვალ და რასაც ნებით არ მეაბულდები, ძალით ავისრულებ!

შეთ. უკაცურო!... მე შემეძლო სკალამდის აღარ დამეცალნა და ჩემის ერთის ხმის ამოღებაზედ მსწრაფლად გაგიქრობ-დენ სიცოცხლეს... მაგრამ ეს სახლი წმინდა და მე არ

მინდა წაკბილწო იგი შენისთანა უწმინდეულის სისხლის  
დაღვრით... წადი, გამეცალე.

ქოს. (მკაცრად) ვერ წაკალ!

შეორ. (მიღწევს კარებისკენ და შესდგება) იძულებულს ხუ მური,  
რომ კარის-კაცო დაგუძახო.

ქოს. რა მენაღვლება, დე მომკლან.

შეორ. (განრისხებული უყურებს და თასხდათან უახლოოვდება.)  
სულ-მდაბალო, მოდალატებ! განკედ; ეს სიწმინდის ტაძა-  
რია და შენ აქ ადგილი არა გაქვს!

ქოს. (კანკალს დაიწყებს და ოვალს არიდებს) ჰეთევან!... მაშ  
სრულიად იძედი უნდა გადავიწყეიტო?...

შეორ. სოულიად.

ქოს. ქარგი, ჰეთევან, ხომ მაგდებ და გახსოვდეს, ბოლოს არ  
ისახო! (ჰეთევან მოუთმებლად უჩენებს კარებზედ და კოს-  
ტანტინე საჩქაროდ გადის.)

## გამოცვლა 12.

### ჰეთევან მარტო

შეორ. (უყურებს კარებს, რომელშიაც კოსტანტინე. გავიდა) პი-  
წიერო! სადამდის მაუყვანასარ თავ-მოუკარეობას?... მე,  
ჰეთევანს, საღხისაგან დედოფლად არჩეულს, მე, რომელ  
ლიც იქსოს სასძლოდ ვირიცხები, მე მიბედავ ხელის შე-  
სებაში... არა, კოსტანტინე! შენ შემცდარი ხარ, დაძრმა-  
კებული!... მე რომ მსურდეს კადეც, აღარ შემიძლიან  
ჩემს ნებაზედ მოვიწე, მე კვეუთვნი ხალს და არა ჩემს  
თვეს. (დააჩქებს და დოცულობს).

დედავ ღვთისათ, შენ მომხედე, მომეც შენ ძალა,  
რომ გისრად ვიდო ერისათვის ზეუნვა და ბრძოლა...  
შენ გეგედრები, რომ დღეს მტერი დამაძლეონო  
და ერისათვის გზა ნათელი გამაკვლეინო!

უზენაესო! შენც ხომ სედავ, მე არა კცდილება,  
თავ-მოუვარებით, სელთა მუგდო კვლავ დედოფლობა;  
და თვით ერისთვის, მის ბედისთვის და ნუგეშისთვის,  
მე მიმიღია ჩემს თავზედა წინამძღომლობა.

მაშ დამესმარე, ძალა მომეც, რათა შეკიძლო  
ლიცეულადა კვლავად შენი საუფლისწულო—  
ქართველთა შვილნი, ქართველთათვის თავ-განწირულნი—  
წარმოვადგინო შენს წინაშე, დედავ ქალწულო!

(დაუყოდობა სელებზედ და ოცნება წაიღებს. რამდენსამე  
ხანს იდუმალებით საკე სიჩუმეა. ქეთევანს პირისას ე  
უბრწყინდება.)

(ფარდა).

(დასასრული შემდეგს ნომერში)

## ୧୦୮

(ପ୍ରକାଶ ମାନୁଷିଙ୍ଗରୀ)

ଯୁଦ୍ଧପ୍ରେସ୍‌ରେ ମନ୍ଦରାତି, ଲ୍ଲାରଜ୍‌ଫାଫ ବିଦିନ୍‌ବେଳେ, ସାତିଥି,  
ମିଥ ଲାଲରେ ଚାମିଦାଶିଲ, ଯୁଦ୍ଧରେ କୁର୍ରାଜ୍‌ର କ୍ଷାତିଥି...  
ଅପର ଉଦ୍ଧା କ୍ରେଣ୍‌ମହାରା, ଫାମରାଫିଜିନ୍‌ଦ ମନ୍ଦରା,  
ତାନ ମନ୍ଦିରା ପ୍ରିୟତ୍ଵା ଲାଭିଦିତ, ଯାହାକିମ, ତରମି, ଝାଲା...  
ବେଳିନି, ବ୍ୟବ୍‌ବେଳି ବାଲାଶି, ପ୍ରେରଣଭ୍ୟେଦ ଫାମରାଫିଜା ଫ୍ରିଜିନିତା,  
ଏବାର୍ଜିବେ ଗୁର୍ଜିର୍‌ର ମନ୍ଦିରପ୍ରେସ୍‌ରେ, ବିମର୍ଶିନିତ, ବ୍ୟବସାୟିର ପ୍ରକାଶିତା!...  
ପାମିଶିରା, ଆଦ୍ୟଲାଜ୍‌ଜେଲ୍‌, ମେଧର୍ମ ରା ମେଧର୍ମ ରୂପିନ୍‌ବି,  
ଶିରା ଗର୍ବରାଜ୍‌ବେ ବାଲିକିବେ, ଫାମରାଫିଜିବେ ଲାଭି ମନ୍ଦିରି...  
ଶିରାପ୍ରିୟବେ ବାରିକ ମହାରା, ମାଜିବେ, ଦ୍ଵାମତାକିବେ ଗାନ୍ଧାରୀମନ୍ଦିରି,  
ଅନ୍ତର୍ଜାମିନିରାତ ତର୍ପା—ବାରିକ, ରାତ ବିମି ଲାକିବେ!..

ତ. ରାତ୍ରି, ପରିଷତାଗି...

## რეზილები

### ლორენცო ბენონისა.

(შემდეგი \*).

თავი XIII

მაგალითი სასწავლებლიდამ გამოსვლის შემდეგ. — სემინარია. —  
ძველი მცენო.

რასაკვირკელია, რომ ასეთმა დაუკარებელმა სწავლაში გა-  
მარჯვებამ თავი ამირია. ჩემის წარმატებით გაკვირვებული აღ-  
ტრედიც გერ გამომიყვანდა ამ მდგრამარქობიდამ. თუმცა ცხოვ-  
რებას ისე კერ შეგვარე, როგორც ნამდვილი გმირი, მაგრამ  
გაგიტუდებით და გატევით, — ისე მეგონა ჩემის გამოსვლით  
ცხოვრებაში საზოგადოებამ დიდი განძი შეიძინა მეთქი. თავის-  
მოუკარებამ მაღა გაიდგა ჩემში ფესვი... მაგრამ ამასაც, მაღა  
მოედო ბოლო.

ერთს საგანში მე დამარცხება მომელოდა, ეს საგანი ჩემი  
ტანისამოსი იყო.

მე კოსოვე რომ ჩემთვის შეუკერათ როი სელი ტანისა-  
მოსი და მეგონა, რომ უარს არ მეტყოდენ; პირიქით — მეგო-

\* ) «ივერია» № 3, 1883 წ.

ჩა გაჰყეირდებოდეს კიდეც, ორმ ასე ცოტას კოხოულობა  
დი. მაგრამ ტუშილად კვიქრობდი ასე. მამა-ჩემი მოიღოუნ-  
და და სთვენა, ორმ მაუდი და სელიფასი ძალიან ძეირადა ჯდე-  
ბაო. — ორი სელი! ამის ნახევარიც ბერი არ იქნება? ამასთანა-  
ვე, ერთის წლის შემდეგ ეს ტანისამოსი კიდეც დაუმოკლდებაო.  
შევი ტანისამოსი მაგისთვის უქმე დღეებშია მხოლოდ საჭიროო  
ჯე ისე დღით ისევ სკოლის ტანისამოსი იხმაროსო. — ამ ამბავმა  
საშინლად დამაღონა. ოჯ, რა ბედნიერნი იუგნენ დანარჩენი ჩე-  
მი სკოლის აშსანაგები! ზოგს ოქროს საათს დაჭვირდენ, ზოგს  
ცხენსა, — სულ კი გარგის სწავლისათვის, და იმათი სწავლა ჩემ  
სწავლასთან ნარცხსაც კერ მოკიდოდა. ჩემი დედ-მამა კი ორ  
ხელ ტანისამოსზედაც მეკაჭრებოდა! განა იმას რამე დაეჭირე-  
ბოდა, ორმედმაც პირველი საჩუქარი მიიღო? მე რომ ალის-  
ური მანტიაც მომენდომა, ვის შეეძლო ამის წამოსხმა ჩემთვის  
დაუშალა.

დედა-ჩემი ძალიან ცდილობდა ჩემის გულისთვის და უკა-  
ლას ჩემის გამარჯვების ამბავს უშმიობდა. «ოჯო, კო, კო, —  
წარმოსთვენა მამა-ჩემმა მოუთმენლად: განა სხვა მებენი კი მაგა,  
ზედ ნაკლები არიან?»

თუ გინდ მოედი ჭკეუან დაიმორჩილოთ, მაინც გეტ-  
უასან, ორმ თქვენზედ წინად ალექსანდრე და იულიოს კეისარი  
უაფილან.

ასე თუ ისე, დედა-ჩემმა მაინც თავისი აასრულა. მე მომ-  
ცეს ნება შემეგეთხა ორი სელი ტანისამოსი. ახლა ის კამინ-  
და საფვაჭრებლად, — თუ ორგორი მაუდი ამომერჩია, და ამ რო-  
გორი ტანისამოსი უფრო მომიხდებოდა? არაუან არაუან, ორმ  
რჩევა მეგითხნა: ალფრედი მეორე დღესკე, ჩემის დათხოვნის  
შემდეგ, დედ-მამამ სოფელში წაიყვანა; ჩემს მმებში შინ მარ-

ტო უმცროსი მმა იყო, ოომელიც ჩემს მაგივრად უნდა წა-  
სულიყო სკოლაში, და ასა იმას რას დაკვეთხებოდი; უფრო  
სი კი სასათით კაუ-კაცსა ჰგავდა და მცხვენოდა, ოომ ჩემი  
ასეთი თავ-მოუკარეობა იმისათვის გამომეცხადებინა. მარტო  
ჩემს მმას ცეზარს, ოომელიც თვრამეტის თვით ჩემზედ დიდი  
ოურ, შეეძლო. ამ საჭმეში დამხმარებოდა, მაგრამ ის ბიძა-ჩემ  
მღვდელთან წავიდა, ოომ აკად-მყოფობის შემდეგ ჰქანი გამო-  
კცებალა. ისეგ მე უნდა ამომერჩია ტანისამოსი და გადავწევიტა,  
ოომ უშავ-ტანისამოსოდ ჩემი უოფხა არ შეიძლებოდა. ვსოჭვათ,  
მაგალითად,— და ას აქ რა არის შეუძლებელი?— ვსოჭვათ, ოომ  
ასხიერისკორზმა, ან დუბერნატორმა დამიძარეს... ან სასახა  
ლეში ოომ მიმიწვიონ... რატომაც არა, მერე? დიალ, უშავ-ტა-  
ნისამოსოდ მე იღლად კერ წავალ. მეორე სელის ტანისამო-  
სისთვის ბაცი წახლის ფერი მაუდი და ბაცი ცისფერი შარვალი  
მოვირჩიე, შეკავშირ კიდეც დერცის, ოომ უკანასკნელ მო-  
დაზედ შეაგრძა. მთელი კვირა იმაში გამეპარა, ოომ დღეში  
დამდენჯერმე მოვდიოდი დერცივთან. და ვეკავშებოდი მაღა შე-  
მპერა.

შლიაპის ამორჩევასაც დიდზანის მოვუნდი. იმ დროს მო-  
დაში ოც-საარი შლიაპა იყო; ვიწრო და განიერი. მე უფრო  
უკანასკნელი ამოვირჩიე. ბოლოს ტანისამოსიც ჩაკიცვი და  
ერთს მშვენიერს კვირა დღლას დიდის. სარკის წინ ვიდები და  
ჩემის ტანისამოსის ცქერით ვსტებებოდი. ამის შემდეგ მე წა-  
ვდი ვიზიტად ბიძა-ჩემს კოვანისთან.

ბიძა-ჩემი კოვანი, ერთად-ერთ მმა დედო-ჩემისა, დედა-  
ჩემზედ ოცის წლით იყო უფროსი. რადგანაც დედა-ჩემს ძა-  
ლიან უკვარდა იგრძ მოხვევა, ოომ პირველად იმასთან წავსულ-  
იყავ. ამ დოომდის ბიძა-ჩემი. კოვანი სულ ათვერ არ მენახა

თუმცა ჩვენს სახლში იმაზედ ცმილად ჩამოაგდებდენ ხოლმე დაპარაკეს. ხუთ წელს სკოლაში ყოფნის დროს მე იმას სულ თორმეტჯერ არ უნახვიგარ. ბიძა-ჩემს ბავშვები არ უკვარდა და ამისათვის იმასთან წასკლა მეზარებოდა.

როდესაც ბიძა-ჩემთან მიკედი, იგი თავ-ჩაღუნული წიგნსა კითხულობდა. რომ შევხედე, იმის პირისახისა ნახევარ მხარე დავინახე და იმისმა სახის-მეტყველობამ და გაწუობილობამ განმაცვითო. როგორც შემდევ გავიგი—იგი იყო ცოცხალი სურათი დეონარდო-და-კინჩისა. თუმც სამოც წელს გადასცილებოდა, მაგრამ იმის მოკლედ გაკრეჭილი თმები სულ შავი იყო, მხოლოდ აქა-იქ ერთა ჭაღარა, რომელიც თითქოს უფრო უსდებოდა.

«ე! ე! ჩემო საკვარელო», შეჭკრა ბიძა-მემა ჩემს დანახვაზედ: «რა ყოჩაღი რამა ხარ!» იგი ადგა სკამიდამ და მოკიდა ასლო ჩემს დასათვალიერებლად.—«ეგ რა მისსხარეულადა სარმორთული?» მე უკრებამდის გაწმითლდი. «ნუ გრცხვენიან, ჩემო მეტობარო, ახალ-გაზდობისას მეც ეგრე ვიქცეოდი. თქმანისთანა უმცწვილები რომ არ იყვნენ შეკუახაზედ, დერცისტი მშივრები დასოცებოდენ. მე ამით მხოლოდ ის მინდა ვსოდე, რომ თუ მამა შენი ცოტა ჭიშიანთ კაცი უოფილიერ და ჩემთან მოქაბენები, მაშინ ამ ტანისამოსით არ გატარებდი სასერნოდ.» ბიძა-ჩემს ძალიან უნდოდა, რომ მეც იმასავით კაჭრობა დამეწუო, მამა-ჩემს კი კაჭრობა ჭირსავით ეჭავრებოდა!

მე არ კიცოდი რა მებასუსა—და ჩუმად კიდექი. შემდებ ბიძა-ჩემმა სწავლის, შესასებ დამიწუო დაპარაკი, და მითხრა: «მე დიდის სიამოვნებით წავიკოხე შენი ლექსი «გაღობა შემოქმედზედ» და დაკრწმუნდი, რომ შენ ლექსების წერა შეკიდათ. მხოლოდ უნდა ისწავლო აზრის მოკლედ გამოხატეა დ

არა გაგრძელება. არ ეს შენ ვისგან შეგიძლიან ისწავლო; აი-  
ღე დანტე და თავით ბოლომდინ რამდენჯერმე გადიკითხე. —  
და მიჩვენა თავის წინ გაშლილი დანტეს თხზულება, — შემდეგ,  
თუ ან დრო და ან მოსაზრება გექნება, სწერე დექსები, მსო-  
ლოდ მანამდის კი არა, გესმის?»

მე მგრძნა მივსვდი იმის სურვილს.

ბიძი-ჩემის ამისთანა საუბარმა ცოტა არ იყო შემაფიქრია-  
ნა. მე ვფიქრობდი. ისე მოვმორებოდი ბიძა-ჩემს, ორმ ჩემი  
წერა არ შეეტყო. გამოსვლის დროს მითხრა:

— აბა, ჩემო საუკარელო, თუ ორმ შენ შეგიძლიან უური  
დამიგდო და არ გაჯავრდე ჩემს სამართლიანს ლაპარაკზედ,  
შემოდი სოლმე ჩემთან და ნუ გეწყინება, თუ ცოტაოდენ მკა-  
სე სიტყვებს გეტყვი, სულ შენ სასარგებლოდ იჭინება, რასაც  
კი გატყვი. მაშ მძვიდობით!

ჭეჩაში გამოკედი თუ არა, მე ჩემს თავზედ ისე აღარ გი-  
ყავ დარწმუნებული, როგორც ჩასევარ საათის წინად. ბიძა-ჩე-  
მის ჭოვანის შენიშვნებმა ისე იმოქმედს ჩემზედ, თოთქო ლო-  
დიან კაცისათვის თავზედ ერთი კოკა ჩივი წეალი დაქსათო.

ბიძი-ჩემის სასლიდამ მე წავედი ლვთისმშობლის ეკლესიაში  
წირვის მოსასმენად. შემდეგ მეც გავერიე უმაწვილებში, ოომელნიც  
ქალების ლორსეტებით სინჯავდენ. მე უურადლება არავინ მომაციან  
არც ერთი ქალი, არც სხეური და არც ახალ-გაზდა, არ გაწითლდა,  
არც ერთს არ ეტყობოდა, არავითარი აღელვება ჩემს დანასვა-  
ზედ; ერთმაც არავინ არ მითხრა: «თქვენ არა სართ ის ასალ-  
გაზდა უმაწვილი, ოომელმაც სწავლისათვის მიიღეთ იმდენი  
გვირგვინებით?» მე ჭეჩაში სიარული დავიწევ, შემდეგ, საღა-  
მოზედ, წავედი აკეთოლმი — ეს ადგილი გმბლუცების სასეირ-  
ნო ადგილი იყო, იქ რიგ-რიგად უკრავდა ორი დასი სამსედ-

რო მუსიკისა და ძალიან ბეჭრი ხალხიც იყო, მაგრამ ერთმა არავინ არ მომაქნია უკურადღება, არც მე, არც ჩემს ცისვერს შეარცადას; და ორდესაც სახლში დაღალულ-დაწევეტილი დაგ-ბრუნდი, არც არსებისკოშის და არც ღუბერნატორის მაწყუ- ვის წერილები არ დამხვდა.

შემდეგ მე უკარგან დაკიწუებ სრაოული, მაგრამ უწინდე- ლივით უკურადღებას არავინ არ მაქცევდა: ერთხელ სეირნობის ზროს შემომეუჯრა ლირ უმაწვილი ბიჭი, ორმეტთაც პირში დაცინვა დამიწუეს და მემუქერებოდენ ჩემივე ჭაბუთ ცემას. მე- ორუჯერ არისტოკრატიულ ყავასას «ყაირში» ხელიდამ გამ- კარდა ერთი სტაქანი მართუინა, ორმეტმაც მეც გამისაფარა ტა- ნისამოსი და ერთს ჩემს გვერდზე მჯდომარე უმაწვილს ქალ- საც. უკელამ მე დამიწუო ცექრა. ლოს გვირის უკან ჩემის და- დების მოყვარეობა განჭქარდა და ჩემთავად ვფიქრობდი: «რის- თვის კვარგამ დროს, ტუულად რისთვის ვჩვეთამ წალებს და ამდენს პომადას რად გაიუკებ?» მართლაც, ეს გარეწერული ცხოვრება არ შეუერებოდა ჩემს სასიაოს და მეც ადვილად და- კანებე ამ ცხოვრებას თავი. ჩმას იქით ვიკექ ხოლმე შინა და კითხულობდი წიგნებს.

დილიდამ საღამოდის მოვიდებული კუთხულობდი ო- მანებს, ზღაპრებს, რაინდულს მოთხორობებს, ერთის სიტყვით უკედას, რაც კი შემსვებოდა. წიგნის საკითხავად ერთი მიუ- რუბული ლოსი მქონდა ამორჩეული, კითხვაში გართულს გა- რედ გამოსვლა აღარც კი მაგონდებოდა. რა სიამოვნებასა და ცებილს ოცნებას კემლებოდი ამ წიგნების კითხვის დროს! როდე დესაც დედა-ჩემი შემოვიდოდა და მეტულდა გამესენისა სადმე ძალიან მეწყინებოდა ხოლმე. ერთს წიგნს, ორმეტმაც ბეჭრ სიამოვნება და მწერალება მომიტანა, ურქვა,, ჰავლუ და კირგი-

ხია.“ ამ წიგნის კითხვის დროს მე იმდენი ცრემლი დავღვარე, რომ იმ ცრემლების მორეუში ამ მოთხოვნის, უბეჭური გმირი ქალა შეიძლებოდა მეორედ დამღვრჩალიყო. მეორე წიგნი, რომელმაც ჩემზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, იუთ „იტალიელი“, რატკლიფისა. სხვათა შორის ამ წიგნში იუთ აწერილი კოთი ტომარა, რომელიც ოჯის-თავად ოთახებში დადიოდა. რამდენჯერ ძილში მომდანდებია ეს ტომარა და შიშით გამომღვიძებია!

ასე გამუდმებულის წიგნის კითხვით მე აუად გავხდი, მაგან წამერთვა და ფეხებს ძლიერ გადგამდი. დედა-ჩემი ამან ძალას შეაწესა და საჩქაროდ სოფელში წამიუკანა, თან წიგნების წალება ამივრძლებს. როთ თვე გავატარე სოფელში და მოებში და ტუებში სიარულის მეტს არას; კაგეობდი ამ მოძრაობაში ბეჭრი სარგებლობას მომიტანა, ასე რომ როდესაც ოკრომბერში ქალებში დავტორებდი, სრულიად გარგად კიუავი.

ამ დროს თეატრში პირველად წამიუკანეს. მუსიკამ, თამაშობამ, ტანისამოსმა, დეკორაციამ და სიმღერამ ჩემზედ დიდი შთაბეჭდილება იქნია. ასე არ მივცემდი ის კაცს, რომელიც მე თეატრის ასპარეზზე გამოშეიყვანდა! რა რიგად კიუავ თეატრისაგან აღელებული, ამას იქიდამ გაიცემთ, რომ როდესაც შინ დავბრუნდი, სიცხე მომცა და სამი დღე და დამე ლოგინში გიწევი.

ერთხელ, როდესაც სოფლიდამ დაბრუნდით, შამა-ჩემმა თავის კაბინეთში შემიუკანა. არ ვიცი რა მიზეზთ, მაგრამ მამოს ჩემის ახლოს ჩემს თავს დამშვიდებულად ჟურა ვერმნობდი. მამა-ჩემი ისე მექცეოდა, რაგორც უცხოს; არას დროს შარტოდ უოფხის დროს ჩემთვის აღეტქსონი სიტუაცია არ უთქვამს, როგორც დედა-ჩემი სჩადიოდა, თემცა სხვებთან კი კიდეცა მკოცე.

նույն, մաշակութեած, ռուդեսաց սահմայից զգուրացեած է. մյ ռում վտակո մշուցնուա մյուն, սբուրեա պատեա. ու մեռաւ լույս մոցուացեա սռամյ ու իշեն չո պշուցնուա.

մամա-իշմա մուտերա, ռում նյեն պարեա պեռարեա մոցիցնուա: ճռու արու մյեցալու ըցրեա լուրեա; ճռու արու մյուն մյուն: ուազու ճռու նյեն առ մոցուա ռում զայտոն ճամանակ, նյեն զայտու նյեն ռու յրու ամուսին: ան յյօմուն ճամանակ ճամանակ, ան աջառայալուա: ռուցուրց յրուստայու, ույ մյուսուստայու սակարու ոյու ոյութաստուաս յյութաս մուսմին: ռաջանաց ճի ճռուս յնույթասություն ճայութու ոյու, մաստայու ոյութաստուաս յնույթասություն: ան սակալմիություն յուղացամու յնու մոմեսմոն, ան սյմոնարուան: մամա-իշմա ուազու մերու յուղացամու նյեն մուսակա մուռին ճամանակ, ռում ոյ զոնդա նյեն սյմոնարու մուռունիւր.

սակալմիություն յուղացամու իշմա մյեսզա առ մյօմլյունուա. ռուստայու? մյուսուտ ոյիշեն. ոյ զոնդ ճայունամուցացնուա: — իսաւ մոցաեւյեն, ռում մամա-իշմա ուսուլունուա իշմա սյուլուս քանուսամուս զահամյայեատեան ճամանակ մյօմլյունուա յուղացամու: մարտամ իշմուն յի մյօմլյունու ոյու, ռաջանաց անալ-ցանուաս տապ-մուցարյան նյեն առ մամլյունուա.

առց սյմոնարուան միմովյաց յյուն. յյենյան սամո սամո սասինաց- լյունու ոյու անալցանուան ալսաթուրություն: սակալմիություն սյու- լա, սյմոնարու ճամանակ պատասխան սյուլա. մաշուն ամ սամո սասինացլյու- նուաս յրումաներու չունեսազու յյազութեալուա, յրումաներու ճա- շարյունու ինյեն չունեսա սռամյ; ամ սյուլյունուս մովայոյյ- նու յրու յրումաներու ճաշմանյունու մուրեա ոյընեն. մյ ուրա- տան, սյուլյունու յրու յրուման ճռուս, ռամդեն իշմա իսմոյրայս մյօմլյունու սեպա սյուլուս մովայոյուստայու իսունուս ճռուս. մյ ճարիմյունյունու յրու, ռում ոյ սյմոնարուան մյօմլյունու, ոյ մյօ-

და მტერი კინმე დამისვდებოდა და მეც მას უნდა წაგჩხუბებოდა, ჩხები კი ჭირსავით მეჯავრებოდა. მაინცა და მაინც ისევ სემინარია ამოვითჩიე და ეს ამზავი აღტრედს იმ საათშივე კაცნობე. რამდენიმე დღის შემდეგ, იგი დაბრუნებდა ქალაქში და, ჩემდა სასისარელოდ, მამის ნება-დართვით, იმანაც მოიწადინა სემინარიაში ფილოსოფიის კლასში შესვლა.

ჩექნ ძალიან ბევრი თავისუფალი დრო გაქონდა: ლექციები დილის ათ საათზედ იწყობოდა და პირველ საათზედ თავ-დებოდა; დანარჩენი დრო თავისუფალი კიუვავით, მხოლოდ ორშაბათობით და სუთშაბათობით კი თოსი საათიდამ ეჭვს საათამდის ზნეობითის ფილოსოფიის გურას გისმენდით. ასალს მოწაფებთან არავითარი კავშირი არა მქონდა. ჩემთვის აღტრედის შეგრძნობაც საკმარი იყო; დილით სალამოდის ჩექნ სულ ერთად კიუვავით; სშირად შორს მივდიოდით სასეირნოდ და ზოგჯერ, კარგ დღეში, ნაკითაც კსეირნობდით. ჩექნ პირობა დავდეთ, რომ ერთმანერთს არ დავშორებულიყავით.

მაგრამ ჩემი მდგრადარება მაღე შეიცეალა. მე კადამემტერა ერთი სამაგელი სემინარიელი, რომელიც ერთი-ორად ჩემზედ უფრო მაღალი და სქელი იყო. იმან მაღე მოცნო. მეც ვიცოდი კინც იყო იგი. მან ამაუც დამიწურ ცემრა; მეც ისე ვიჰერდი თავს, ვითომ უურადღებასაც არ კაშჩევდი, მაგრამ სიამაუით ცემრას ლანძღვა-გინებაც თან მოჰყეა. ერთსელ სელი ისე წამერა, რომ ცოტას გაწედა, არ დაგეცა. მას შემდეგ დაიწყო ჩექნს შორის ბრძოლა, და ჩემმა მტერმა ისე შემაწუხა, რომ თითქმის სიცოცხლე გამიმწარა. ერთსელ მოელის სემინარიის სასაცილო გამხადა, იმით რომ ქალალდის გრძელი კუდი გამიეთა. მე დავითიცე, რომ სამაგეროს გადაკუნძღიდი კლასიდა გამოსკლის შემდეგ, მაგრამ ამაოდ კუარაულობდი მას კლა-  
4

სის კაცებთან; მერე წავედი შინ და აღელვებული გული იქ და-  
გიშოშმინე.

დავხოუნდი თუ არა ქალაქში, სელასლად დავიწყე წიგნე-  
ბის გითხვა, ამ დროს მე ვეითხეულობდი სეტარის მარტინ ლი-  
საბონელის თხზულებას, რომელიც ჩემთვის ძალიან სასიამოგ-  
ნო საკითხავი იყო. ჭრა მარტინოს ძალიან საკვირველი საჭ-  
მები შოესდინა. მაგალითად ერთსა და იმავე დღეს იგი ნახეს  
ჩინეთშიაც, სადაც გროვთ-თაუკანის მცემლებს არ ჯელებდა და ლი-  
საბონშიაც, სადაც თავის ავად-ტყოვის დედას თავით უჯდა. მე  
მიკედი იმ ადგილამდის, სადაც აწერილი იყო ერთი შემთხვევა,  
რომელიც ჩემს ესლისდედ მდგრადი რეალისტასა ჰქოვდა. ჭრა მარ-  
ტინ ამბობდა, რომ როდესაც იგი სკოლაში დადიოდა, და-  
ტანჯელი იყო ერთის ბრაზიანის, შეგირდისაგან, რომელიც მე-  
ტრისამეტად სასტიგად ეჭველდა მას, მარტინო მას სამაგიეროს  
არ უხდიდა, მოთმისებით და პატივისცემით. ისე დაასკინიდისა  
თავის მტანჯელი, რომ იგი გასდა იმის მეცობარი, მხატვა-  
და შემდეგ ისიც წმინდანი შეიქნაო.

ამ ამბავშა მე ცხადად დამსხახვა თუ როგორ უხდა მოკ-  
ეცელდი ჩემს მტანჯელს. ჩერთა არ იქნება მეც ჩემი მტერი  
წმინდანად გავსადო! განა მე ვი არ შემიძლიან. წმინდანი გავ-  
ხდე? განა მე ვი არ შემიძლიან, როგორც ჭრა მარტინო, წა-  
ვიდე ჩინეთში და იქ მივიღო წამების გვირგვინი? მე გადავ-  
წევიტე მიმებაძნა მარტინ ლისაბონელისათვის.

## თავ გ 0 XIV. მუდი ღმა და დამატების

სარწმუნოებით გაცაცება. — წამებულობაზედ ჩემის პლანის  
გადადება. — ჩემი მცერი სასაცილო მდგრმარეობაშია.

რასაც მოვედროდი, ის მოხდებ კრთხელ, კლასით შესჭდის.  
დოსტ, ჩემმა მტერმა დაზიანიანდ თავში ჩამარტყა. მეც ჩარ-  
ტყმითვე მინდოდა სამაცირო გადამესადნა, მაგრამ დროზედ  
შევიმაგრე თავი. «მოწეალეო სელმწითება» ა კუთხარ მას: «რა-  
ც გსურთ, ის მიეძით. ამას მე ისე მივიღებ, როგორც სას-  
ჯელი ჩემის ცოდვისათვის. მე მაინც არ დავიშლი თქებს სიყ-  
ვარულს:» ჩემმა ასეთმა მოვედროდნებმა ლაპარაკმა იმოქმედა  
ჩემს მოწინააღმდეგეზედ, მაგრამ დიდ-ხანს კი არ გასტასა და  
მიპასუხსა დაცისწით: «დიალ, დიალ, ჩემს სიუკარულს! ისა სოჭა,  
რომ უშინიას.» ამზედ მე კუშასუსქ დაბალის სმითო აქმო-  
რედ მეშინიას, მალიას მეშინიას ღვთის რისხუის.

ისიც მოხდებოდა ხოლმე, რომ ჩემი მტერი რამდენიმე  
დღეს თავისუფლად მტოვებდა ამას მიზეზი, ჩემის ფიქრით,  
ჭრა მარტინოს რეცეპტი უნდა ყრუილიყო. ურველ-დღე, პრა  
თუ შინ, ჭრაშიაც კი ვლოცულობდი. დიალ, ჭრაში! როდესაც  
მე სკოლაში ვიყავი, ჩემმა მოდგრომა მაჩუქა ერთი საუნკა,  
როგორც ასბობდა იგი; ეს იყო შატარა ღოცება, რომელიც,  
იმის სიტყვით, წმინდა ზერხარდმა ღვთის-შმობლის სელიდამ  
შითდო. მე ეს საკვირველი ღოცება ჩემს ქაღალდებში შერსდა  
დაგროგული. ხოლოს კითოვნებ, ზეპირად დავისწავლე და კაბ-  
ბობდი. ხოლმე ღვთის-შმობლის ხატის წინაშე; ღვთის-შმობ-  
ლის ხატი კი განუაში ურველს ფესის გადადგმაზედ შეგხვდა  
ბათ.

მშენები დღე იუო. მე და ალფრედმა პირობა დაკდეთ, სადილის შემდეგ გაგვესერნა გორებზედ, რომელიც გენუას გარშემო აოტყია. ამ გასერნებამ ისეთ ხაირად დაგვქანცა, რომ დავისედით კრთს გორაზედ და გასამოგნებდით მშენების არეალებს სანახაობით, რომელიც ჩვენს წინ იუო გადაშლილი. მზე ჩადიოდა. იმის ადამის-ფერი სხივებია, რომელთაც თან-და-ოს უფრო მუქი ფერი ეძლეოდათ; როგორდაც აღონებდეს ბაცი. ნელ-ნელა დაჭიროს ხაცრის-ფერმა ბურუსმა ჩვენს წინ მდებარე მინდოორი და ზღვა. ჭავრი არ მოირაობდა. მხოლოდ საჭალის უელზედ შებმულ ზარის წვარუნი და მეოვეზების ხმა აოღვევდა მუკდოოებას.

უაცრად კელესის ზარი დარეკეს. ეს იუო წმინდა ბარ-სახეს კელესია. ამ კელესის სიახლოესვე იუო პატარა შენობა, რომელიც კეუთვნოდა მამა კაპუცინებს. უმაწვილი. კაცები, რომელიც უნდა კაპუცინების დაში შესულიყნენ, ლოცვაში და ღვთის კედრებაში ატარებდენ დროს. ეს მონასტერი ერთ ხროიდა მთაზედ იდგა და დაღვრებილი სანახაობა ჭრონდა. ჩვენ შეკვეთ კელესიაში, სადაც სიბნელე სუფევდა, მხოლოდ ზოგიერთა ადგილას თითო დამშა ხათებდა. სუთი თუ ეჭვი მოსავი დახოჭილნი იყვნენ და გალობდენ ფსალმუნებს. სანდის-ხან ერთი მათგანი მიღებდა ხოლმე თავს მაცხოვრის ხატის-გენ და მაშინ დაინახავდით იმის სახეს მარხულობისგან გაყითლებულს და გამსდანს. ზარის ხმამ, მარტორბამ და სადა-მოს უამბა საშინლად დამაღოხა; ამ კელესის ამბავმა. ჩემი გამოურკვეველი ოცნებანი გამორკვეულ გზაზედ დააუქნა. თით-ქოს რაღაც საიდუმლო ხმა ჩამძლოდა: «აი, ზა; რასაც შენ ეძებ.» დიდ ხასს გულ-მსურვალედ კლოცულობდა; და როდე-საც იქიდამ გამოვედი, მტკიცედ ვიუავ დარწმუნებული, რომ

თვით ღმერთა მიმიწვია კემსახურო მას ლოცვითა და გედრებით ჩემი კულის-პასუხის ალტრედს მაშინკე კუთხარი და თვითონ იმასაც ვსოთხოვ ჩემთან ერთად შემოსულიყო ქაზუცინების დასში. ჰირველად იგი ძალიან გაჭკვირდა, ამისთვის რომ ჩემსაგით გატაცებული არ იყო; მაგრამ რადგანაც ჩემი დაშორება არ უხდოდა, ამისთვის მიმასუსა—თუ შენ ბერად შედგომა სამდგილად გადაგიწუკურია, მეც თან გამოგუკებით.

შეს-ლამისას, როდესაც ჩემს ოთახში შემომესმა წმინდა ბარნაბის კულესის ზარის რეგა, მე წამოვდექ ზეზე და დავიწყებ ლოცვა. არ მასსოვს, რამდენ სანს გასტანა ამ ლოცვამ, ამისთვის რომ როდესაც გამომელვიძა თავი სკამზედ შეჭრდა მიუჩობილი და ტანი სრულიად გაციებული.

ისე მტკიცედა მქონდა ბერად შედგომა გადაწყვეტილი, რომ კანგიზრახე ეს ამბავი ჩემის მოძღვრისათვის შემეტყობინებისა; მეორე დღესკე წავედი მსათან და დაწკრილებით კუამბე, როდის და როგორ მომივიდა ბერად შედგომის სურვილი. პატივცემულმა მოძღვარმა მომიწონა ეს კანზრახვა, მიზნია მტკიცებ კუთვილიყავ ამ განზრახვაზედ და ისიც მითხრა, რომ ამ ცოდვილს შემუშავიში ბერობის გარედ სულის ცხონება, არ შეიძლებათ.—«ჯერ შენ ყმაწვილი სარ», განაგრძო მანი განზრახვის აღსრულება შენგან მნელია; თუ გინდა, გაიგო შეასრულებ თუ არა შენს განზრახვას, შენს თავს რამე სასჯელი დასდევ, რომ მით შენი ხორცი მოიკლა და განსაკუთრებით უფრო დაოცვიდე დღედა დამ განუწევეტილადო».

მე ძალიან კმაყოფილი ვიყავი ამისთანა დარიგებისა. ამ დღიდამ ჩემს თავს ბერადა ვსოფლიდი. ხორცის მოსაკვდელად ძალიან ცოტასა კრამდო, უკელა საჭმელზედ უარი ვსოვთ, მეტადრე სილზედ, რომელიც ძალიან მიუკარდა. რაც კი შე-

მექლო, წირვა-დოცვაზედ ხშირად დაკვირვდი, და შეს-ლამისა-საც ჯდგებოდი ხოლმე და კლოცულობდი. ორმ დიდ-ხანს არ დაძინებოდა, ხელშედ მოვისამდი ხოლმე მათი, რომელსაც ბოლოზედ ტუკია ება და ტაშტი იყო ჩაშვებული; ცოტა რომ კანძრეულვიუავ, ტუკია ტაშტის ესლებოდა და ტაშტის ხმა ჩა-ძინების ხების არ მაძლევდა.

მაგრამ ესეც საქმარ ჰა თეთ ცოდვათა მოსახანიებელად. მე ჭრა მარტინის ვაპაშავდი და ამისთვისაც კი მოვნე მათრასი, რეთაც ჩემს თავს მოსკენებას არ კაძლევდი, როგორც ამ მათრა-სის ცემით ბეჭრი ფრა მტკენია-რა. ამის გარდა ჩემშებში ქიმა და ქეშაგებში პერის მარცვალი ჩავიყარე, რისგანაც ცოტა არ იყო, შეკრუხდი. ამის შემდეგ, მე ჩემს თავს ბერობისათვის სორ-ლიად მომზადებულად კითვლიდი და ერთს დილას დედა-ჩემსაც გამოვუცხადე ჭემი განზრასება და ისიც კუთხარი, რომ კაპუცი-ნის ტანისამოსი, რაც შეიძლება, მაღვე უნდა ჩავიცვა შეთქი.

მე ისე მეგონა, რომ დედა-ჩემი წინააღმდეგობას გამიზევ-და და ტირილსა და კაი-კაგლასის ასტედა, რისე ამოც წი-სადე გადაწყვივოტე არ დაკმორჩიდებოდი საუკარელ დედა-ჩემის ცრემლებს, მაგრამ დედა-ჩემს სრულიად არ ეწყინა ჩემი გან-ზრასება, ას არა და გულ-კეთილობით. ჩემი წენა არ უნდოდა. მხოლოდ ესაძირხნა, —ამისთან დიდ საქმეში საფილი გმარ-თებს და გარგა იქნება ბიძა-შენს კოვანის. დაჭითსებოდით. მე ამაზედ დიდის კიამოვნებით დაკოსნებდი.

იმავე დიღით დედა-ჩემი ბიძა-ჩემს ქუჩაში. შესკედროდა და უკვეთივერი ეამნა; მეორე დღეს ბიძა-ჩემმა სადოლად დამშატი-ვა, რომ ჩემგანვა შეუტევ ჩემი განზრასება და მეც წავედი.

იმ დროს მე და ბიძა-ჩემი კოვანი ძალიან გარგი მეგონ-ზებთ კიუვაით. როგორც იმ დღეს, როდესაც მე ამისთან ჭირვა

დად წავედა, იგი ცოტა წარმ-შეკრული დამხვდა, მაგრამ ამას ნაც კი არ ამომითხვრა გულიდამ იმის სიყვარული. პირკელმა შთაბეჭდილებამ რომ გაიარა, მე მივხვდი, — ბიძა-ჩემი მართალს მეუბნებოდა ჩემი კეპლურობა მხოლოდ სასაცილოდ მხდიდა და ჩემი ლექსებიც სუსტნი იყვნენ. ამისთვის სრულიადაც არა კჯავრობდი იმზედ; პირიქით, უფრო კაფასებდი იმის პირში-თქმას და უოკელივე ეს ბიძა-ჩემსაც კუთხარი. იმის ძალას მო-ეწონა ჩემი გულ-ახსნილი ლაპარაკი და მითხო, შენმა ადა-შიანურს აზრს გაუღვიძნია. ამ დღიდამ ჩექნ დაკმეცობრდით კურაში როჯელ მივდიოდი იმასთან და, რაც უნდა საჭი-რო საქმე ჰქონიულ, თავს ანებებდა და მე კი რამდენსამე წამს შეღაპარაკებოდა. იგი ერთის მდიდარის ბანკირის ამსახავი იყო და არ საათამდის სულ საქმეში იყო.

თუმცა ჩახეკარ წელიწადზედ მეტმა გაიარა, რაც მე და ბიძა-ჩემი მეგობრები ვიუგვით, მაგრამ იმის ცხოვრუბილამ მარ-ტო ის ვიცოდი, რომ სიყმაწვილითვე დაეტოვებინა თავის ქვე-უნა, წასულიყო სხვა ქვეუნაში, სადაც კაჭრობით ბევრი ფული შეძინა. გენუაში ლომოცის წლისა დაბრუნებულიყო და მას აქეთ აღარსად წასულა. ხშირად დაცინგის კილოთი იცოდა ლა-პარაკი; ხალხსაც ეჭვიანის თვალით უუურებდა. ისა და დედა ჩემი ერთმანერთსა ჰგავდენ: ბიძა-ჩემიც ისეთივე გულ-ჩახვეული ქაცი იყო, როგორც დედა-ჩემი; როიკე უგელაფერი იცოდენ, მაგრამ არავისთან კი არავერც იტუოდენ.

ბიძა-ჩემი ჩუმი იყო, მაგრამ როდესაც კი ლაპარაკს და-იწყობდა; დიდ-ხხობამდის არ გაათავებდა; იმის სიტყვები წეა-როსავით მომდინარეოდენ; როდესაც ნახობდა რასმე, ფრისძ-ძების კენეტის მოჰკებოდა ხოლმე. უკედაზედ მეტად დედა-ჩემი უკარტა, ხშირად ხახავდა ხოლმე მხოლოდ მაშინ, რო-

დესაც მამა-ჩემი შინ არ იყო. სიძე და ცოლის-ძმა ერთმანერთს დედი-ჩემის დაბადების დღეს შეხვდებოდებ ხოლმე. მაშინ ბიძა-ჩემი კოვანი სადიღად ჩვენსა რჩებოდა და ბიძის-ჩემის დაბა- დების დღესაც ჩვენ უკელანი იმასთან გიყავით ხოლმე სადი- ღად.

მეორე დღეს სუფთად ჩავიცვი და წავედი ბიძა-ჩემთან.

ბიძა-ჩემიც, როგორც იმ დროის მომეტებული ნაწილი განუის მოქალაქეთა, თავისთვის განმარტობული იდგა და სცხოვრებდა მშეიდობიანად. იმის სასლი ერთს ვიწრო ტალა- ხიანის ჭეხაზე იყო; წინ სხვა სასლი ჭირობდა აფარებული და წის მეტი არაიური სჩანდა; უკანა ფასნერები კი ეზოში გადიც- ჭირებოდენ. ოცის წლის წინად ბიძა-ჩემი რომ ამ სასლს ჭი- დულობდა, ეგონა ადგილად გააქირავებდა, რადგან დუქან-ბა- ზარზედ ახლო იყო, მაგრამ ასგარიშში მოსტუკვდა.

ბიძა-ჩემი მეორე ეტაჟაში იდგა, დანარჩენ. ოთახებს კი ჭირით აძლევდა. იმის სადგომი ოთახები მაღალი და ბეჭნი იყვნენ. თეორად გალესილს ჭიდლებზედ აქა-იქ სურათები კი- და. ოთახებში ძველი მებელი ეწერ.

ძველებული ჭენეციური სარგა, ერთი დუჟინი ძველი სელი, უვითელ-საცელით გადაკრული, დიდი ჭედლის საათი შეადგენ- დებ იმის სასლის მორთულობას. სესენებულ აკეჯულობის გარ- და ბიძა-ჩემი არაფერს არა ხმარობდა. ასე გასინჯეთ, ცეცხლ- საც კი საჭიროდ არა სოფლიდა, — ჯან-მრთელობისათვის ცუ- დი არისო; და ერთად-ერთი ბუსარი, რომელიც იმის ოთახში იყო, დახმო. სიცივის დროს იგი დაიწყობდა ხოლმე სელე- ბის ფშვეტის და ამითი თბებოდა.

საჭიროსაც ბევრ-რიგს არ აკეთებინებდა. საუზმედ—ერთი ფინჯანი გავა, მასუკან — წვენი, შემდეგ ხორცი ან თვეზი,

საღათა, ხილი ან უკელი შეადგენდა. იმის სადილს. გახშმად—  
ცოტას რასმეს, ერთოთი მოხარულსა სტამდა და სხვა არა—  
ფერს. ამ წესს ბიძა-ჩემი არას დროს არ გადადიოდა, მაგრამ  
როდესაც სტუმრები ეწეოდენ, რაც ძალიან იშვიათად მოხდე—  
ბოდა ხოლმე, მაშინ კი კარგი დახვედრა იცოდა; ბეჭნიერ  
დღებში, მაგალითად, თავის დაბადების დღეს, ბიძა-ჩემი ხამ—  
დვილ თავადურ სადილს მართავდა. საჭმელებიც უხვად მოჭქონ—  
დათ და სტოლიც სუფთად იურ ხოლმე გაშლილი.

ისე სწორე ყოფილხარ, ორგორც ბანკირი, ფულის მი—  
ცემაში! შეჭყირა ბიძა-ჩემმა ჯოვანიმ, და წამოდგა ხელის ჩა—  
მოსართმევლად.—ა, განავრძო მან:—სამაგალითო ასალ-გაზ—  
და კაცი. ორის საათის შესრულებას რამდენიმე წამი აკლია.  
მართლაც ბირუის საათმა ორი დაჭრა, როდესაც მან ლაპარა—  
კი გაათავა.

— იმას უურს ნუ უგდებ; სტუუის: დიდი ხნისაა;—ა ეს.  
ჩემი ერთვული მეგობარი ერთს წამსაც არ იტუუბს,—და მან  
ამავად შეხედა თავის გედლის საათს.—მართა, მართა! დაუუკი—  
რა თავის დედა-გაცს მაღალის ხმით;—ნუ ახშარდები.

რამდენიმე წამის შემდეგ წენი შემოიტანეს და ჩგნეც  
დავსხედით სადილის საჭმელად.

ბიძა-ჩემს ჯოვანთხნ ბირველად კსტამდი სადილს, და ეხ—  
ლა კი დრო იურ მეთქვა იმისთვის ჩემი დიდი განზრახვა, მაგ—  
რამ კერა კბედავდი და ისე გტოვავდი თითქოს. ნემსებზედ  
კმჯდარვიუავი.

ჯერ პური ჭამე, სხვაზედ ნურაზერზედ ნუ ივიჭრებ,  
მითხარა ბიძა-ჩემმა,—საჭმეზედ, ლაპარაკი ხილის. ჭამის დროს  
დავიწერ.

ბიძა-ჩემი ლაპარაკის გუნებაზედ და კარგ ჰეიზზედ იურ.

სადილმა მხიარულად გაიარა. თავის დოოზედ მოიტხქის ხი-  
ლი და უკელი და მართას უბძსნა, რომ ის ბოთლი მოეტანა,  
რომელიც სარდაფის მარცხენა კუთხეში იდგა. მართაშ შეასრუ-  
ლა ბძანება და გავიდა. ბიძა-ჩემმა გახსნა ბოთლი და დაასხა  
ორი სტაქანი.

— ეს ლაკრიმა-კრისტია, შვილო, ნამდვილი ლაკრიმა-კრის-  
ტი. დავლიოთ შენის გრძელახვის შესრულებისათვის.

ეს სთჭვა და სტაქანი დასწავლა. მეც დავსწავლე ჩემი სტა-  
ქანი.

— ეხლა საქმეს შეკუდგეთ, მითხრა იმან: — მე უკრს და-  
გიგდებ.

მართლადაც უური დაუგდო ჩემს ლაპარაკს ჭრა-მარ-  
ტისოზედ, მოწამეობაზედ, ჩინეზედ, იაპონიაზედ და სხვა-  
ზედ. როდესაც ბერების გამსდარი სახე აკუწერე, მაშინვე შე-  
კარებ, რომ ქს არაფრიდ უქაშნივა.

მე დიდ ხანს კლაშარაკობდი, ბიძა-ჩემი უკრის მიგდებდი; მაგრამ როდესაც ლაპარაკს მოკრჩი, იმან გიდევ აავსო სტაქანი  
და მანიშნა დამჟღადა. ოკითხაც დალია და მითხრა:

— თუმცა, ჩემო კარგო, შენი მოძღვარი სრულიად სხვა  
აზრისაა, მაგრამ ჩემა მომეცი, გითხრა, რომ ბერობის გარე-  
თაც შეიძლება სულის ცხონება. მე წინააღმდეგი არა კარ შე-  
ნის ბერებ შედგომისა, მაგრამ მსურს რომ მენ სხვა ბერების  
დასი ამოირჩიო და არა კაპუცინებისა.

— რადა? კვითხე სასტარდ.

— იმად რომ კაპუცინები უწმინდერები არან, სხვა-და-სხვა  
მწერი უოკელოვის ბერი ჰყავთ, მომიგო ბიძა-ჩემმა!

— ნუ თუ მართალს ამბობთ? კუთხარი მე.

— ეს ნამდვილია. უსუფთალისაგან, თუ იმისაგან, რომ ტა-

ხისამოსი საურთო აქვთ—ისინი უოკელთვის ჭურუანები არიან. მათი ბინძურობა ანდაზადაც კი ვაკეთდა.

— მე დავიჯერ ბიძა-ჩემის სიტყვები, ამისთვის ორმ სისუფთავე მუქ ძალიან მიყვარდა. ამ დღიდგან გაპუცინებმა ჩემს თვალში უოკელიკე ფასი დაჭერგეს.

— რაც შემესხა მე, განაგრძო ბიძა-ჩემმა: — მე ორმ შენს ადგილას ვიყო, ე. ი. მე ორმ შენსავით უმაწვილი ვიყო, მაშინ ბერთად შედგომის მაგივრად, წაგიდოდი და წარმართო შორის სახალებას; ვიქადაგებდი.

— ეჭ, ბიძა-ჩემო! შეკვირე მე: — მე სწორედ მაგისთანა ცხოვრებას ვნარობოდ. განა მე თქვენთვის არ მიამბნა ჭრა მარტინზედ, წვალებაზედ და...

— და განა ის ვი არ მითხარი, ორმ შენ გაპუცინობა გინდოდა?

— დიალ, წამოვაყრანტალე მე: — მაგრამ...

— კაპუცინებს საქადაგებლად არსად არა ჸერხიან. დიალ, ჩემო ვაროთ, თუ რისამე გაკეთება გვიხდა, ხამდვილად უნდა ვიცოდეთ, რას ვაკეთებთ. ეხლა მითხარ რა უფრო გინდა იყო — კაპუცინი თუ მქადაგებელი? რომელს ამოირჩევ?

— დასაუკორელია, მქადაგებელი, მივუგე მე.

— კარგი და პატიოსნი, მითხრა ბიძა-ჩემმა, — და დაწერ მქადაგებლის მოკალეობაზედ საუბრა, — ისეთის გრძნობით, ორმ მეგონა ეს-ეს-არის მეტყვის — წამოდი ერთად წაგიდეთ თაონიაში და ას ჩინეთში საქადაგებლადათ.

— თქვენ რას მირჩევთ, ბიძა-ჩემო? ვკითხე მე, როდესაც ლაპარაკი გაათავა.

— აი რას გირჩევ, შვილო. ზრავის არ შეუძლიან თაც-და-ოთხ საათში ისე მომზადდეს, რომ მოციქულობა შეიძლოს.

პირკულად, საჭიროა რომ სამღთო-წერილი გარგად იცოდე. ამას გარდა სახარებას იტალიურის ენაზედ ხომ კერ უქადაგებ. ამისათვის საჭიროა ჩინური ენაც იცოდე. მეორეც ესა, შენ კერ უეგიძლიან მოისმინო დეოის-მეტეგელობის კურსი, გილ-რე ფილოსოფიის კურსს არ შეასრულებ. აი გზა, რომელზე-დაც, ჩემის აზრით, შენ უნდა გაიარო, შეასრულო ფილო-სოფიის კურსი... უფრო ლოდიგის ადგვნე უური, შენ ის გა-მოგადგება... და თუ, ფილოსოფიის კურსის გათავების შემ-დეგაც კიდევ გექნება მისიონერობის სურვილი, ძალიან გარგი! აქეთ უეგიძლიან დაიწყო სამღთო-წერილის სწავლა, თუ ამას-თანავე ჩინურის ენასაც ისტავდი, მაგას ხომ რაღა ემჯობი-ნება. მაგრამ, როგორც ვიცი ჩინური ენა ძალიან მნელია; მა-შესადამე მოთმინება უნდა იქონიო, შეიღო. შენ ესლა მე-თხუთმეტე წელიწადში სდგეხსარ; ვსოდეათ, ოც-და-ერთის წლი-სამ მიღლო მოწამობის გაირგვინი, კურნებ. ეს დროს დაკარ-გბა არ იქნება.

იქნება იმის უკანასკნელს სიტყვებში დაცინვაც იხატებო-და, მაგრამ, როდესაც შეკატყე რომ ბიძა-ჩემი არა ხუმრობ-და, მაშინ კი დავიჭერე იმის სიტყვები.

მე კიდევ ერთი ეჭვი მქონდა. ვაი თუ ორმა სტაქანტა ლაპრიმა-კრისტიმ ამიცრუა ქაშუცინობაზედ გული მეთქი. იქნე-ბა იმ ორმა სტაქანტა გაშუცინობა ბნელად დამანახვა და უკე-ლაფერი სხვა კი ვარდის ფერად?

მაგრამ ბიძა-ჩემის დაპარაკი ისე საფუძვლიანი მეტკნა, რომ თავი დაკანებულ ქაშუცინობას და დავიწეუ მქადაგებლობაზედ ფიქრი.

ერთს დღლას, მე და ბიძა-ჩემის საუბრის. რამდენიმე დღის შემდეგ, მე კელაბარა კებლოდი პატარა მოწაფებს და ხელები

უკან მქონდა დაწყობილი. უცრად ვითამაც ხელზედ კოსტი დამკრა. ძალიან მეტება. უოკელივე ჩემი განზრახვა დამაგიწევდა და გეცი ჩემს მტერს, მინდოდა თმებში მიკწომოდი, მაგრამ.... ხელში მსოდოდ სემინარისტის დიდი პარიკი შემოხა, იმის მოტივივლებულ თავის დახახვაზედ მოწაფებმა საშინელი სიცილი და ხარხარი ასტეხს.

იმან ჩემზედ წევა დაიწუო, მაგრამ მომაგონდა სჭირდას მაგალითი, ამოვილე დანა, დავდეჭი ამაფად და დაუუკირე: «მოდი, თუ თავი არ გეხანება მეთქი!» მან კერ გაბედა მოსკლა. ჩემს ამგვარ ქცევას ორი შედეგი ჰქონდა: მე განვთავისუფლდი იმის დეკნისაგან და იმის კი დაარქეს «გაუკლეული თავი». ეს სახელი ბოლომდის შეოხა.

## თავი XV

სცენაზედ ჩემი მმა ცეზარი გამოდის და პირველის ადგილს  
იჭერს. ოცნებანი ცელქობენ.

გავიდა რამდენიმე ოკე და შე დაკრწმუნდი, რომ მქადაგებლობა ჩემი საქმე არ იყო. ჩემის მმის ცეზარის დასრულებამ სრულებით გამკურსა ამ სენისაგან.

მე დაცეზარი თითქმის ტოლები ვიყავით და ერთხარი გემოვნებაცა გვქონდა. რონივ რომანტიულის მიდრეკილებისა ვიყავით და ერთხარიადკე გაგვიტაცებდა ხოლმე უოკელივე შემთხვევა. ძალე ჩვენ ერთი ერთმანერთის განუურები გულითადი მეგობრები შეკიჭენით. ცეზარი ლამაზი ემაწვილი იყო, ჩემზედ ცოტა დაბალი, მაგრამ აგებულებით კი მაგარი. ის იმითი მჯობარი

და, ოომ უფრო იცოდა მოქალაქეები ცხოვრება, კიდოუ მე, მაგალითად, ის ჰაპიროზსაცა სწევდა და ბილიარდზედაც თამაშობდა; ამაქში მე იმას ხმა-ამოუღებლად ვეძონხილებოდა ჩაცმა-დასურების გემოვნები კარგი ჭრობდა. განსაკუთრებით იმის უდისასკევი მომწოდება, იმას კი ჩემი ტანისამოსი არ მოსწონდა და ჩემს მღიაპას ხომ სამასაროდ ხდიდა.

ცეზარს ბეკრი ამსახუები ჰყავდა, ოომელიც ბეკრს წიგნებს აძლევდენ. და ისიც მე მაძლევდა სოლმე; ჩვენ სშირად კეთხულობდით ერთად და კითვისებდით იმ წიგნებში აღწერილ გმირთა ხასიათს. ერთხულ ცეზარმა თავის თავი ლენტოლად წარმოიდგინა და მე და აღმოჩედი თავის აღიუტანტებად გაგვხადა. მეორედ, იგი გაიტაცა ზღვით მოგზაურობამ, თვითონ სომალის კაპიტანად გახსდა და მე ექიმობა მომცა; ეს წოდება აღმოჩედს დავუთმე და მე კი ლეიტენანტის აღგილი დავიწიორე. მთელის ქვეუნის კარშემო მოგზაურობა განვიზრახეთ; იმის მოგზაურობის საგნად სულ ჩინეთი და იაპონია იყო, დედაც ჩვენთან უნდა წამოსულიყო; იგი ჩვენის ოცნების განუურები თანამგზავრი იყო.

«მოგრინავის კაცის» შემთხვევები დიდის სიამოვნებით წარმოვითხეთ და კითხვის დროს ცეზარს მოუკიდა აზრი; ოომ თავისთვისაც ფრთხები გაეკეთებინა,—თავის დღეში იქამდის პერ მივაღწევთ, ოომ დავთრინავდეთ, ვეუბნებოდი იმას. ვნასოთ! მომიგო მას დაბეჭითებით.—ჩვენ ვიყიდეთ უკუღაფერი, რაც კი მოუნდებოდა ჩვენს საქმეს: თხლად დასერხილი, ფიცრები, გარდონი, სსკა და სსკა ნაირი ჭალალდი, მათი, ლურსმები, წებო და სსკა; მაგრამ ოოდესაც გვეღა ეს საქმეზედ მოვიხმარეთ, ისეთი არეულ-დარეულობა გამოგვიდა, ოომ თვით გოდოლის აშენებაზედაც არ იქნებოდა სკოთო აშშავის

ჩენი საქმე წინ არ მიღიოდა მაგრამ ცეზარი მაინც თავს არ ანებებდა. ჩენიდა საძენიეროდ, ერთმა შემთხვევაშ დაანებებინა იმას თავი: მე და ჩემდა მმამ მოვაგროვეთ. ცოტა-ოდენი. ფულია ამ ფულს ისე კუთხისლდებოდით, ორგორც ჩენს. საკუთარს თავს და ხან სად გმალავით, ხან სად, ორმ რა არის, ჭურ-დებს არ შემჩნიათ. ერთხელ ჩენ ეს ფული მიწაში ჩავის-ლით. მაგრამ, დასე უბედურებას, იმ დამეს მოვიდა საშინელი წვიმა, გადარეცხა დედამიწა და ზოგი ჩენი ფულიც თან. წა-ლო, მეორე დღეს ბევრი კინანეთ, მაგრამ რაღა გამწყობოდა, უფულოდ რაღას კიზამდით, ფრთების გაგეთებას თავი და-ნებეთ.

ცეზარმა გამოართვა ერთს თავის ამხანაგს «ათას კრთა დამე»; ჩენ დღე და დამე განუშემტლივ გეითხულობდეთ ამ წიგნს. სულ კალიფები, პრინცესები, ოქროს სასასლეები, ალ-მასები და სხვა ძვირობასი თვლები გველანდებოდა. თვალებში, სხვაზე აღარაივერზედ კლაშარავობდით; ჩენი ცხოვრება სრუ-ლიად შეეთვისა ამ ტანტასტიგურს ჰგევანს და სინამდვილეს სიცრუისაგან ვეღარ კარჩევდით. მე რაც შემეხება, გაგიტუდე-ბით, ორმ იმედი მქონდა კიბოვიდი ქეშენეთის გზას, სადაც კნახავდი მრავალს კვერცხის-ოდენს ალმასებს და მშენერს პრინ-ცესას. მე პრინცესა უკეცელად უხდა მეპოვნა, რადგანაც ის ჭ-დები, რომელთაც ცხოვრებაში შეგვდით, არ აკმაყოფილებდენ ჩემს ოცნებას. მე სულ ტროს თმანი მშენერი ქალები მელან-დებოდა. მე და ცეზარი სრულიად განვირჩეოდით ერთმანეთისაგან, იმას ხშირად ხამდვილი მშენერი ქალები იტაცებდენ, ჩენთვის კი, საუბედუროდ, ეს გრძნობა გაუგებარი იყო. საწყალი ალ-ტრედ! იგი სრულიად მოკლებული იყო ოცნებას და თვალებ-გასუმტილი უგდებდა უკრს ჩენს ლაპარაგს პრინცესებზედ და-

ოქროს სასახლეებზედ.

ერთხელ მე ნამდგილად დაკრწმუნდი, ორმ ვიპოვე შეეშენეთის კარები, რაზედაც ჩვენ ასე ხშირად ვოცნებოდით. ერთხელ სეირნობის დროს ერთ ცისის ძირში დაკსედით. ამ ცისის გასეთქილი გეღელი იზიდავდა ჩემს უურადლებას. მე დაკუშებულ სინჯვა ამ გასეთქილ გეღელს, რადგანაც მეგონა, ორმ შეეშენეთის კარები ეს უხდა უოფილიყო. ამ სინჯვის დროს ვიპოვე ბოთლი, ოომელშიაც ორი მარგალიტი ეგდო. ცეზარისა და აღვერედს მაშინვე დაკუძახე. ცეზარის ოცნება აღენთო. იმან გვითხრა, ორმ კიდევ გვეძებნა, რადგანაც, სადაც ეს მარგალიტი იყო, იქ სხვა რამეც იქნებაო, ვინ იცის რას კიპოვ კითო! ჩვენ კიდევ დაკიწუეთ ძებნა იქმდის, სინამ არ გავიგეთ, ორმ აქ არაფერი ქვეშენეთის გზა არ იყო. მაშინ ქალაქში დაგბრუნდით და ჩვენი ნაცოვნი მარგალიტები ოქრო-მჭედელს გაჩენეთ რომელიც, საუბედუროდ, ყალბები გამოდგა. ამ ამბავმა ცოტა არ იყო, გული აგვიცრუა, თუმცა კი შემდეგ შიაც მივდიოდით ხოლმე იმავე ცისესთან და იმის გარემოს ვათვალიერებდით.

ერთს საღამოს ჩვენ გსტკბებოდით მშენიერის მთვარის შუქით და გრილის ნიავით; ცეზარმა ჯერ ჰითონა ჩამომართვა, იმის საიდუმლოება შემენახსა და მერე გამიტედა, ორმ იგი სანდის-სნ მიდიოდა თავის ამხანაგთან, ოომელსაც მეც კიცნობდი და ოომლის ჰილდაპირაც სცხოვრობდა ახალ-გაზდა ქალი მშენიერი, ოოგორც მთვარე. იგი გამოდიოდა უოკელ საღამოს ყვაველების მოსარწყავად და ცეზარი თავის ამხანაგის ფანჯრიდამ უურებდა ხოლმე მას. ის ქალი ცეზარს გაგიუებით ჭუკარებოდა: «თუ გინდა», მითხრა ცეზარმა: «წამომუე როდისმე ჩემს ამხანაგთან: შენც ნახე იგი, და მერე მითხაო, თუ როგორ

მოგეწონება.» მე სრულიადაც არა მქონდა იმის ნახვის სურკილი, მაგრამ რადგანაც ჩემს შმას ძალიან უნდოდა, მეც იმიტომ დავეთანსმე. ჩვენ დავდეჭით ფანჯარასთან და გელოდით მშენიერების ღმერთას გამოსვლას.

არ ვიცი კი რადა და მე ჩემს თავს ჩემად ადარა ვერმნობდი. მე მზად ვიყავი უოველისთვის მიმეცა, ოღონდ კი ის ამ საღამოს არ გამოსულიყო. მართლადაც იმ ქალმა ისე დიდ ხანს დაიგვიანა, რომ მე ფანჯარას მოვშორდი და დაკვეჭი სელზედ, რომელიც ოთახის მეორე მხარეს იდგა. თითქმის იმავე წამს ცუზარმა დაბალის ხმით მითხრა: «აი გამოვიდა!» მე მინდოდა ადგომა, მაგრამ არ შემეძლო, თითქმის სელზედ ვიყავი დაკრული; რაღაცა გაუგებარმა ძალამ შემბოჭა. სუთკერთუ ეპესკერ მოვიხსდე ბოდიში, მაგრამ ერთი-მეორეზედ უფრო ტუტუფური იყო. ჩემი ძმა და იმის ამსანაგი დამცინდენ და მეუბნებოდენ, რომ გეშინიანო. «აი წავიდა!» ამ სიტყვებმა გამამხნევეს. მე მიკედი ფანჯარასთან და ისე ვაჩვენეთვიდ, რომ ვითომ ძალიან მენანებოდა, თან კი მეშინოდა—ღმერთი არ გაუწერეს და კიდევ არ გამოვიდეს მეთქი. ბოლოს ფანჯარას გავშორდი და კუთხარი, რომ იმის მოლოდინი ტუტლია მეთქი. მაგრამ ამ დროს კიდევ გამოჩნდა, კიდევ წაგიდა და კიდევ მოვიდა, მაგრამ გერას ღონისძიებით კუთ ვაჭობე იმ დაფარულ ძალას, რომელიც მე ჯაჭვს მიურიდა იმ დროს, როდესაც მშენიერება გამოჩნდებოდა ხოლმე.

შინ რომ წამოვედით, ცუზარი სულ თავის სიუგარულზედ მეღაპეარაგებოდა. მეტის-მეტის აღტაცებით კალმის დანით ამოიჭრა მარჯვენა სელზედ ჰირკელი ასო თავის გულის სატრფოს სახელისა—«ემელია.» მე კოხოვე ჩემთვისაც მოეცა ნება ამომეჭრა სელზედ იმის სატრფოს სახელის ჰირკელი ასო. იმან

მომცა ამის ნება და ჩვენ დანით ამოვიშერით ხელიძეზედ ასო  
ე, შემდგა მელანი წაჭუსეით და დაკიდალეთ, რის შემდგანც ასო  
ადამ გადაგვივიდოდა. ამ დღიდამ ჩვენ სულ ემილიაზედ კლა-  
სარაკობდით, როგორც მსურვალე სიყვარულის საგანზედ. მე  
ჩემს თავს კარგად კატულბდი, რომ შეუვარუბული ვიყავო, მაგ-  
რამ ჩემი მმა ისე აღტაცებული მელაპარაკებოდა იმაზედ, რომ  
ერთს ელაც გერ გაგბედე შემესედნა იმ ქალისთვის, როდესაც იგი  
თავის უვავილებსა რწყავდა. ერთხელ კუთხარი ჩემს მმას: «მო-  
დი კუმღეროთ რამე მეთქი?» ცეზარმა ცოტათი სკრიპტურედ  
დაკვრა იცოდა, მეც გიტარის აურლებას გსწავლობდი. ეს აზ-  
რი უბელას მოვიწონა.

როდესაც რამდენიმე სიძლერა ტეპირად ვისწავლეთ, ჩვენ  
დავსიმენეთ ერთი სალამო ჩვენის განზრახვის შესარულებლად.  
ეს საქმე ცოტა მხელად გბებენებოდა. მამა-ჩემს წესადა ჰქონ-  
და, რომ ცსრა საათზედ უკელანი სახლში უნდა კუთვილიყა-  
ვით და ვინც კასშამზედ დაიგვიანებდა, იმას მამა-ჩემი აჯასო-  
ბის წესის დამრღვევად სოფლიდა. კახშმის შემდეგ კარებს იგი  
თავის სელით ჰქონდა; იმის ოთახი კარებთან ახლო იყო და  
თითქმის არ შეიძლებოდა კარების ისე გაღება, რომ არ კაე-  
გო. შაგრამ რას არ შოთაშერებებს ასალ-გაზდა გაცი, მეტადრე-  
თუ შეუვარუბულიც არის? კარებს ტეთი ჩავუსტით, რომ არ და-  
კრირალა, ჩემი მმა ვადგებ დაგვირდდა, რომ ჩვენის გასკლის  
შემდეგ კარებს ისტაჭუტავდა, რომ შემდეგაც განზრახვა შეგ-  
ზისრულდებოდა. მშოლოდ დილაზედ ადრე ჩვენი დაბრუნება შე-  
უძლებელი იყო, ამისთვის რომ კარებს ვერ დაკარასუნებ-  
დოთ და ვერც დას გაკუმებდით. ჩვენ წაკედით და მშვენიე-  
რის მძინარე ქალის ფანჯარასთან კიმღერეთ დასწავლილი სი-  
ლერები. იმას და გულისხმდ ემინა, თუ არ ვიცი ისე უგრძნო-

ბეჭი იუო, ოომ ჩვენი სიძლერა კურ გთიგო! ქუჩაში დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ერთს სკამზე ჩამოვსხდით. დამე თითქმის დაუსრულებლად გვეჩვენა. ძილ-მორუელნი წავედით შინ და კიბერ დაკლეჭით. ქუჩაში გამოსასვლელს ვარებს იტალიაში მთელს ღამეს ღიას უშვებენ. სოლმე. — ჩვენ ამ ვარებთან დაკლეჭით და კუცდიდთ, ოოდესაც მოსამსახურე კუტილინე დიდით ადრე შინიდამ გრძოდოდა.

ამისთანა დაბრკოლებამ მაინც კურ წაგვართვა სურვილი ჩვენის განზრახვის გამეორებისა. მაგრამ მეორედ ისე კარგად ალარ მოგვივიდა, ოოგორც შირველად. მესამედ დასე ბეჭნიურებას! — ფასჯრა გაიღო და თუთრად რალაცა გამოჩხდა: « ეს ის ქალი იუო! » გატაცებულმა დავიწევთ სიძლერა; მშვენივრადაც ალვასრულებთ, მაგრამ ჩვენი ალტაცება. გაგრილდა, ოოდესაც თავზედ მაღლიდამ წყალი გადმოგეხსნა და შლიაპა გამითურება. ასე გათავდა ჩვენი შირველი სიკვარული. ამის შემდეგ, მე ის ქალი აღარ მინახავს, მხოლოდ ოც-და-თის წლის შემდეგ კიდევ გნახე ის ქალი, მაგრამ მშვენიერი წვრილ-წელა ჩვიდმეტის წლის ქალი, სჭელ დედა-გაცად გადაჭრეულიუო; თუმცა სახე ისებ სასიამოვნო ჰქონდა, მაგრამ ცოტა ჩადარა კი გამორეოდა. შტრადაც არ მოსდიოდა, ოომ იმ გარს, რომელიც ეხდა იმას ელაბარაკებოდა, იმის სახელის შირველი ასო ხელზედ ამოჭრილი ჰქონდა.

ამისთანა საჭმელ გაკატარები როდი წელიწადი. მე რომ სულ ამეწერა ჩემი ცნობანი, რომელნიც ამ დროს გმირავლობაში შეკიძინე, ბეჭრი არავერი საჭმელი, უქნებოდა. მე ვისწავლე გრიარაზედ დაკვრა, ბილიარდზედ თამაშება, პაპიორზის წევა (მარტო ღმერთმა წწევის, ამის სწავლა რა ფასად მიღირდა!) და ტანცაობა. მე ტანცაობა კარგად არ კიცოდი. ერთხელ

ბაღში, რაკი ჩემის თავის იმედი არა მქონდა, კუნჭულში და-  
კიმალე, ოომ სატანცაოდ არ გაეწეოთ, მაგრამ ერთმა ახალ-  
გზდა ქალმა მომაგნო და მოხოვა იმასთან. მეტანცავნა. ამას  
იგი ბოლოს მალიან ნახობდა: ორჯელ კალსის შემოვლის შემ-  
დეგ ისე ძალიან დაკადგი ფეხი, ოომ კინალაშ გული არ შეუ-  
წესდა. ჩემმა მოუხეშაობამ ისე გამაბრაზა, ოომ დაკიფიცე თა-  
ვის დღეში აღარ მეტანცავნა—და კიდეც აღვასრულე ჩემი სიტ-  
ურა.

თუმცა გულ-აცრუებული კიუავი, მაგრამ ერთის თვის ბე-  
კითობის წყალობით ეგზამენებმა მშენივრად ჩაიარა. ალფრედ-  
მაც, ოომელიც ამ ერთ თვეში ჩემსაკითვე ბეჭითობდა, ეგზა-  
მენი მშენივრად დაიჭირა. ჩვენ ერთმანერთს უნდა დავშორე-  
ბულიყვანით. ალფრედი დათხოვნის შემდეგ თავის დედ-მამასთან  
წავიდა, ოომელნიც პიემონტის ერთს ქალაქში. სცხოვრებდენ,  
მე კი მოელი ის დრო ქალაქში დედა-ჩემთან გავატარე. ცემარ-  
მა კარგი ნადირობა და თოვის სრულდა იცოდა და მეც მას-  
წავლა. ძალიან შემიუვარდა ნადირობა და მოელი საში თვე იმა-  
ში გავატარე.

სწავლის დაწყობის დროს, მამა-ჩემმა მითხრა, ოომ ან  
განონების შესწავლა და ან ექიმობა ამომერჩია. ადგოკატობა  
სრულიად არ მიზიდავდა, მაგრამ ექიმობაც გასაგონად მეჯავ-  
რებოდა. მამი-ჩემის სასისარულოდ, მე მაინც ადგოკატობა  
ამოვირჩიე. რა კი თითონ ადგოკატი იურ, მეც კუნდოდი ად-  
გოკატად გამოგევანე. «ჩაეწერე უნიკერსიტეტში, მითხრა იმან,  
და გაიგე კიდეც უკელავერი, რაც კი საჭიროა სტუდენტობი-  
ს:თვის.» მეც გავუდექი უნიკერსიტეტის გზას.

(შემდეგი იქნება)

## ბერუას ჩაფიქრება

ე როგორ არი, კურ მივხვდი, როგორი განაჩენია?...  
მიწა სსვისაა, კეირალბ, შრომა კი—მარტო ჩემია...  
როცა მდალატობს მზე—წვიმა და მომიცდება უანები,—  
უფლის ნებაა, რა კუულ, მე იმას კუთაუგანები!...  
მაგრამ, რომ ღალა მიწისა არ ასცილდება მთესკელსა?..  
—სად რა ვიშოვო, საბორალომ, ვინ მომაქვავებს ბედ-შავსა?..  
ე შავი მიწა მაინც რომ სასუიდლად არა მჭონოდა?...  
შავ სამარემდინ—რა კიცი—მე რადა დამალონებდა?...; მას უდიდეს უმცირეს უძვირეს ურთიერთობა არ იყო ვარ და ვარ.

## მართული ლიტერატურა

(წერილი პირველი)

ზრდოლი ისახლიანი

ძველი ქართველი საზოგადოებაში გავრცელებული იყო აზ-  
რი: კისაც არ შეუგნია რა არის მამულისათვის თავის გაწირვა,  
მას არ გაუგრა რა არის კაცის ცხოვრება! ამ მარტივმა აზრმა  
ბეჭრჯერ გამოიყანა საქართველო გამარჯვებული ფიცხელის  
ოძიდან, ბეჭრჯერ დაიხსნა გაჭირებიდებან, გაუგდო საქართვე-  
ლოს ერს მთელს გავეზიაში და მცირე-ზიაში სმა მამაწობისა,  
გულადობისა, სამშობლოს სიყვარულისა. ჩვენდა სამწესაროდ,  
გისაც კი საქართველოს ისტორია გადაუთვალირებია, კერ იტ-  
უკის, რომ უოველს ისტორიის უამს ზემო-ნათევამ აჩეს პირ-  
ისძი ადგილი სტეროდეს ერის ცხოვრებაში. სშირად მიძინე-  
ბულა აზრი წინამდღოდ საზოგადოებაში და ერთი და რაი  
მაგალითი არ არის ჩვენს ისტორიაში თვით უპირველეს პი-  
რებისაგან სამშობლოს ღალატი, ერის გადადგომა, კერძო პირ-  
ოა სარგებლობის გამოყიდება, ფლიდობა, ავაზაკობა, მამულის  
გაუიდება. მწარე მწესარება უნდა გამოეარა ხოლმე საქართველოს,  
გიდრე ხელახლად გაიღვიძებდა საზოგადო აზრი, მოისპობო-  
და ყრძო პირთა შეა შფოთი, არეულობა, დამკვიდრდებოდა

ერთობსა და წადილი სამშობლოს აღდგინებისა. « შინაური ჭიში  
მიღწევნას გარეულს ლხინსათ! » ამბობდა ქართველი ამ გამოიყ-  
ნიშლების დროს და მზა იუო თავისი მწერალება გადაეხდევი-  
ნებინა სარტყელიკით შემორტყემულ მტრისათვის. მაშინ « გა-  
რეული ლხინი » მოელოდა იმ პირთა, რომელნიც მამულს გას-  
ტემდენ, ერთ გადაუდგებოდენ, სარტყელობებას შეიცვლიდენ, მტრის  
მსარს მისცემდენ და საქართველოს გასათელად გამოიდაშექრებ-  
დენ. ყოველი შატიოსანი პირი, ყოველი მამულის-შეიძლო ძვე-  
ლის საქართველოსი ეპოქიდა ამ სხეულებას, ცდილობდა სამუ-  
ხამოდ ბოლო მოელო სამშობლოს ბედის დამამცირებელ ჭი-  
რისათვის.—ერთი ამ ძველის შატიოსსებას წარმომადგენერი-  
უო ახლად გარდაცხალებული პოეტი, გრიგოლ ლომიშვილი.

სსკა მსრივ მრავალს ჩაკლულებანებასა ვსედავთ. ჩვენ გას-  
სებს უშედ პოეტის საზოგადო ასპარეზზე მოღვაწეობაში. არც  
საჭიროდა ვრაფსამთ მივმართოთ რიტორიკას, უხვ-სიტუაციას.  
იმის გამოსახატად, თუ როგორ გამოაკლდა კავშირის საზო-  
გადოებას გრ. ლომიშვილი. დაუმალავად, პირდაპირ ვაღვიარებთ  
—თუმცა იქნება ზოგმა საწყენადაც მიიღოს ჩვენი აზრი,—  
ორმ პოეტის შრომა და ლვაწლი ერთი-ათასადაც რომ გადიჭ-  
ცეს, მაშინაც კერ დასაკუთრებს საქართველოს დიდებას და მი-  
სი სიკვდილი ერს უკუნს სიბნელეს კერ მოჰქონეს. ლომი-ათას  
წლოვან ერის ისტორიის წარმოვიდება ცოტა მძიმე ტკირთი  
უნდა იყოს, თუ დამეთანხმებიან უდიროოდ გამოჩენილი რიტო-  
რები. არც ერთის პირის საფლავში ჩასვენება, —დარწმუნებით  
კამბობთ, —არას დროს არ იქნება საქართველოს დიდების გა-  
მოთხოვება, საქართველოს მრავალი გამოჩენილი შეიღი ჭი-  
ლია, მრავალი. შეუწირავთ თავიათ. ნიჭი და კეთილ-დღეობა  
საზოგადო წარმატებისათვის, მრავალი დაუმსახურებიათ კეთი-

დი სასელი, მაგრამ იძათ სიკვდილით უფრო გაძლიერებულა  
ეროვნულის პრინციპის შეგნება, უფრო მკვიდრი ერთობა დამ-  
კარებულა. საქართველოს ბედი ისე მტკიცედა სდგას ნაწილნა-  
ლურ შესებაშე, ორმ მისი შერუევა ერთის პირისაგან შეუ-  
საძლოა.. ურიგოდ თობელიანი რაც უნდა მაღალის ჩიჭის გა-  
ნი უოფილიყო, რაც უნდა დიდი ნაღვაწი დაუტოვებისა სამ-  
შობლოსათვის; მაიც მისი შრომა შეადგენდა მხოლოდ მცი-  
რედ ნაწილს, ნაწილნალურ სიმდიდრისას. უოკელ ამის გაგება-  
ურიგო არ იქნება ბავშვობის თავ-მოუკარეობისათვის.

ასპარეზზე გამოსული პირი—თვალთ-მაქტი კი არ არის,  
რომელსაც შეძლოს გამხმარ შტრას ფოთლებით შემთხველ ხედ  
გადაჭცება. იგი არც მოწყვეტილი ასოა, ორმ როგორც  
უნდოდეს და საიდნაც უსდოდეს, იქიდან დაიწეოს შრომა სა-  
ზოგადოებაში. მარტო ერთი პირი საზოგადოებას, ხალხს  
ცხოვრების აღმართზე კრ აუკანს. კინც ასე ჰიჯიქობის, იგი  
მტკიცების თავის გამოუცდელობას, თავის ბავშვობას. საზოგადო  
საქმის რიგიანს გზაზე დაუკენებისათვის საჭიროა დაკვირვება,  
შესწავლა იმ მიზეზებისა, რომელნიც საზოგადო საქმეს ხელს  
უწყობენ, ან აბრკოლებენ. ეს კარემოება საზოგადო საქმეს უგარ-  
გას კერძო ხსიათს და საზოგადო საკუთრებადა ჰქნდის. რაც  
სალხის ცხოვრებაზე არის დამოკიდებული, იმას თავის დღეში  
ერ დაედება პიროვნული ხსიათი. კერ არ არის მაგალითი რომ  
საზოგადო საერთო მოთხოვნილება მარტო ერთის მოღვაწეს  
შრომით დაკმაყოფილებულიყოს. უოკელს საზოგადო საქმის  
გამოკვლეულაში პირველი ალაგი უჭირავს საზოგადოების თანა-  
გრძნობას. უამისოდ არც ერთი საჭიროება არ ასრულებულა.  
რაც კი მარტო ერთის პირის ნაყოფია, იმას ერ გულ-გრ-  
ძად დასცემობის ისტორიაში. მოწყველეობა, დავარდნილის კა

კითხვა სოფელიად უაზროა და არა ვითარი ადგილი არ უჭირამს. შეიძლება სვალ ისევ ჩამორთვას ერს ის, რაც დღეს მიეცა. ცხოვრებაში, ხალხის შეგნებაში მხოლოდ იმას უჭირავს მტკი-ცედ ალაგი, რაც არის შეძინებული შრომით, რაზედაც თითონ სალსი, საზოგადოება ჩაფიქრებულა, რის მოპოებაც საჭიროდ დაუნახავს.

ეს პირობა საზოგადო საქმის დაარსების დროს უკეთეს მოთხოვნილებაა. საწა ამ პირობისათვის უურადღება არა უო-ფილა მიჰცეული, იქ საქმე არ დაბოლოებულა, და ან თუ და-ბოლოებულა, უკეთეს თავის პირველი მნიშვნელობა დაკარ-გვია. მნელად დაისკუს ასპარეზე გამოსული კაცი მტკიცე ალაგი, თუ იგი აქსიომასაქ არ აღვიარებს, რომ საზოგადო საქმეში საზოგადო ძალის მოხმარება უნდა. საქმე ამით არ თავდება. აქსიომის მიღება არა ნიშნავს მთლად საქმის შესწავ-ლასა. მოღვაწე კალდებულია თვალ-ური მაქტრის იმ გარემოებათა, რომელთ მორისაც თავის პროგრამის შესრულებას აპი-რებს. შენიშვნა ხალხის კეთილ-დღეობის, წარმატების დამაბრ-ეობელ მიზეზებისა ისე ადვილი არ არის, როგორც ზო-გიერთია გონიათ. ვისაც მეცნიერება შეუსწავლია, ვინც არ გამ-ძლარა მარტო სწავლის გარეგნობით, იმედი გვაშეს, დაეთან-ხმება ჩვენის აზრის სიმართლესა.

ჯერ-ჯერობით კი ჩვენში ამ აზრს ისე ნაკლებადა აქვს. ჯესკები გადგმული, ჩვენის საზოგადოების მოუფიქრებლობა, იქმდის მიღის, რომ ჩვენის ძველის ისტორიის შესწავლა ზო-გიერთებს წარსულ დროების დაბრუნებად მიაჩნია. რა ქნას მოღ-ვაწემ ამ აზრების არეულობაში. სხვა ხალხია თავიანთ წარსულ ისტორიის შესწავლა მიაჩნიათ წინა-პართ შეცდომების მაჩვე-ნებელ ღონედ, ხელთ-მძღვანელად საზოგადო მოთხოვნილების

დაფასების დროს. საერთო მოფიქრებას. არავითარი წარმატება  
არ უნდა ეტეობოდეს, ან ერთ წერტილზედ უნდა უოფილი-  
ყო შექრებული, რომ მთლად ხელ-ახლად განმეორება წარსუ-  
ლისა მოხსენდებოდეს. ისტორიაში ეს მდგრმარეობა საზო-  
გადოებისა წარმოუდგენელია. უოკელიგე ხალხი ცხოვრებაში  
ცდილობს წინ-წარმატებას, მეცადინეობს მის ცხოვრების გაუმ-  
ჯობესობას. ძალა-დაგარგული ხალხი, მოშორებული წინ-წარმა-  
ტების სურვილს სასო-წარგეთილი, უპისელია ხელ-ხელა უბან-  
მოჟუკება, დაშაშრავა, დაარღვევს თავის ცხოვრებას და ბოლოს  
სსვა ხალხის მოხად შეიქმნა: ხალხს, როგორც ცოცხალ არსებას,  
არ შეუძლიან შეუცდელი მდგრმარეობა მიიღოს. ხალხიც და  
მისი აზრიც თვითეულ ორგანიზმისავით იძადება, იზდება. არა-  
ვის არ გაუგონია უცებ, ერთხაშად დაბადება საზოგადო ჩზრი-  
სა. აგრეთვე მოუმზადებულ ხალხს არა სჭერია სანგრძლივად  
აღავი ისტორიაში. ხალხის ძალა უკერძებულისარება იხატება  
სულიერ განვითარებაში, რომელიც გარშემო გონიერის თვალით  
აუკრებინებს. ეს გონიერი მხედველობა. არავის არ დაჲკუ-  
ლია თავის ცხოვრების დასაწყისიდანვე, ან კი როგორ დაჲ-  
კუბოდა? უოკელიგე უცარი მოგლენა ცხოვრების მსვლელობას  
ეწისალმდებება. პირველი აღავი ხალხის სულიერს განვითა-  
რებაში საერთო აზრს უკირავს და კიდრე იგი მოტკიცედ ფესვს  
გაიდგამს ცხოვრებაში, კიდრე ასაკში მოვა, მრავალ კაი-კაულას  
გამოიყლის ხოლმე. მაგალითისათვის შორის ნუ წავალთ; ბეკრი  
ჭერ კიდევ გარგად ახსოვს რამდენ რიგი წევლება გამოიარა  
გლეხების განთავისუფლებაშ საქართველოში, კიდრე აზრი გან-  
თავისუფლებისა მოტრიალდებოდა. ხალხში. ბოლოს, მარტო  
გადაურებულები სთვლიდენ მას უსამართლოებად.—

მოუფიქრებელმა ბასმა ზოეტის გ. ორბელიანის დასაც-

დაგების დროს მოგვავრნა ეს რამდენიმე აზრი. ზოგიერთი მაცალი ტრაზები, გრ. ორბელიანის მაქებელთაგან წარმოოთვმულია, ადგილად აგრძნობინებდენ მკითხველს, რომ თვით ავტორს არ ესმის პოეტის, მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურისთვის. ტემატიკის პოეტის ხმა არსად არა უოფილა ხმად მღალადებელად უდაბნოში. საზოგადოდ პოეტი მარტო ხალხის მწერანებაზედ ჩივილში არ ატარებს თავის შრომას. ის უმეტესად ცდილობს თავის ნიჭით გაუღვიძოს საზოგადოებას სურვილი კაცის დამჩაგვრებელ ძალის მოსახლეობებისად, ცდილობს მოჭიბისოს სხვი სინათლისა, სიეკარულისა, გაუადვილოს მომავალ თაობას სიკეთის მომტან კვალში ჩადგომა. ეს საზოგადო ცოცხალი მიმართულობა პოეტისა ხდის მის ხმას ხალსში საყვარელს, დაუკიწერს, უკვდავს.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს პოეტის მდგრადებელია, როდესაც თავს შორის იჭირს ცხოვრებასთან, ან დამდების უძნიშვნელო, გაუგებარის ღეჭსით. ამ გვარი პოეტი რადა თქმა უნდა, თავის ნიჭს სიკვდილითვე თან წაიღებს. კინც ხალხს მხარში არ უდგია, არა შეკვეთის, არ უქარვებს მწერანებას, მას მნელად მეუძღვნან ჩაბეჭდოს ხალხის გონებაში თავის სახელი. კერავერი ქება იურ გარდაცვალებულის პოეტისა საილავში ჩასვენების დროს ეს სიტყვები: «ეს ის უამი იურო, როდესაც ჩვენი მზე, ჩვენი დიღება საფლავში ჩაესვენეთო!»

რა ალაგს დაწყერენ გრ. ორბელიანის ღეჭები ქართულ ლიტერატურაში, — ჯერ მნელი სათქმელია. ჩვენ კურა გხედამთ საჭირო მასალებს მის ღირსების დასაფასებლად. როცა ქართულ ლიტერატურას გარემოება შეძლებას მისცემს შეადაროს ერთმანეთს, რა იურ წარსულში და რაც მოიპოვა მეცხრამეტე საუგუნეში საქართველოში, ან გამოაშეარდება, რა ყოვა-

ში აღმზარდნენ საუკეთესო ქართველი პოეტები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექს. ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი და სსვანი, მაშინ, რასაკვირველია, უფრო ადვილად აღმოჩნდება რაც ლირსება აქვს ორბელიანის ნაწარმოებს. ერთი მხარე პოეტის ხასათისა, რომელსაც ურიგო არ იქნება დააკვირდეს ჩვენი საზოგადოება, ეხლაც ცხადად დაიხასება. განსკვებულს ისეთი მაღალი ადგილი ექიმს ცხოვრებაში, რომ სხვა უიმისო არა-თუ ქართველ ლიტერატორობას იყისრებდა, არამედ კვდებოდა კიდეც დაკვირვება ქართველი ენაც და ზარმაც მონასავით თავისი ნიჭი მიწაში ჩაეფლა. ამ გვარი მახინჯი მოვლენა იშვიათი არ არის ჩვენში. პოეტი ასცდა ამ გვარს მიმდინარეობას, დასძლია ნიჭმა, ადამიანობამ და თამამად ჩასდგა ღიტერატურულს წრეში.

დიდის უკრადებით გადაკიკითხეთ, რაც გი ითქვა საფ-დავზე; შიროვერობას რომ თავი დავანებოთ, უნდა ვაღვიაროთ რომ უმეტესი ნაწილი წარმოთქმულისა პოეტის ლირსების და-სასარევად უმნიშვნელო იყო. სიტყვის მოუხერხებლობამ ერთს კაცისაგანაც და მოძღვრისაგანაც ხელახლად დაგვანახვა, რომ საქართველოში შემცირდა მეტყველობა, დაიგარება ნიჭი საზო-გადო აზრის მიხდომისა. გრიგ. ორბელიანს, მთელი საქარ-თველო იცნობდა, მის ლექსებს ყოველს მხარეზე მდერობენ, პოეტის გაცნობა, მის ლექსების გამეორება ხალხისათვის ისე საჭირო არ იყო, როგორც საჭირო იყო გაეგო — ნუ თუ მარტო დაბეჭდილი ლექსები შეადგენს შასუხს მთელის ჩვენის ცხოვრებისას.

## II

ესტეტიკურის მხრით გ. ორბელიანის ლექსების გარჩე-ვას თავს კანებებთ. ესტეტიკური თეორია როგორლაც არ უდ-

გება ჩვენს ასაღს პოეტებს. ვარწმუნებთ, ამ გვარი შესწავლა პოეზიისა მათ სახელს სხივს არ მოუმატებს. აგრეთვე შეუნიშნავად დაკოტვებთ ორბელიანის «უპირატესობას» რესთაველთან, რომელიც «დოროფაძმ» თავის შორს-მხედველის თვალით დაინახა. შოთა რესთაველის გავლენას ადვილადა კრძნებს მკითხველი თითქმის ყოველს ჩვენს უსამსხვევო პოეტზე. «კეფხის-ტეატრის» მდიდარი რითმა, მეტყველობა, სიტყვის სიმდიდრე, საკვირვლად გამოვეთილი ლექსი უმჩნევლად სდებს თავის ნიშანს მწერალს, რა კი იწუებს მის შესწავლას. ეს გავლენა სხვაზე უფრო ცხადად ეტეობა გ. ორბელიანის. ახალ თაობის პოეტებმა, თუ აშკარად არ გამოირკვიეთ ცხოვრების ცვლილება, გულით მაინც იგრძნეს ესა, მაგრამ გ. ორბელიანი მოლად გაესა წარსულში. რესთაველის დროს საქართველოში, პირველი ადგილი ეჭირა სასახლის ყოფა-ცხოვრებას. ჭოლიტივური გრძებრივი მოძრაობა მაშინ სასახლეში იშვიბოდა. ამისათვის არც ერთ იმ დროების პოეტს არ შეეძლო თავი სასახლეზე უდინოს და კირა. ვაშორება სასახლისა-თვის განდგომის, გაჩუმების ჩიშანი იყო. ვისთვის უნდა ამოერო სმა, ვისთვის უნდა ეწერა, როდესაც რაც კი სულიერად ჰქონებამდა, სასასლეს ეხვია. ეს მაჩეზი პოეტს-მწერალს იმულებულს ჭედიდა არ დაეკიტა გინ ესვია გარსა და მხოლოდ მოწიწებით გაესუდა თავის აღელვაბულ გულის-თქმის გამოცხა-დება.

ესლა ქწერალს თუ არა სურს სხვა მხრიდამ გადმოვარდნილ ფრინველად ითვლებოდეს, უნდა დაუახლოვდეს ხალხს, გაიცნოს მისი ნაღველი, გასდეს წარმომადგენერად მის «ჭმუნვისა და სი-ხარულისა», როგორც ამბობს პოეტი.

რესთაველმა დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს. თავის

შოემით, შვიდის საუკუნის განმავალობაში ათას წარმ ერის დარბევასა და დატუპებაში, მან შეისახა «კეფხის-ტყაოსნით» დარტერატურული ენა. როც ერთ ჰირს არ მიუძღვის ჩვენს ისტორიაში ამ წარმი ღვაწლი ერის წინაშე. ორბელიანი კარგად ჰქედავდა ამას და გულ-მტკიცნეული შესურებდა ოსთვე-ლის ენის დამახინჯებას. მართლაც, ჭართული ენა არც ერთ საუკუნეში არა ყოფილა ისე დამცირებული და დამახინჯებული, როგორც ჩვენს დროს, თუმცა ამაში ახალ თაობას არავითარი დახამსაულობა არა აქვს.

სალხის ძმობა «ჭმუნვაში და სისარულში» პოეტისათვის სასუნთქი ჰაერია. მაში რისთვის «ღვივის დიდის ღმერთის საკურთხეველში ცეცხლი», თუ იგი კაუდგება ცხოვრების ბორბალს განზე? ნუ თუ ეკატერი გელს, «წეულს გავების ცელ-ქობას», «შავს წარბ-წამწამს» უფრო ღრმად შეუძლიან ააღვლას შოეტის გული? ჩვენ არა გავარა ესა. გავაძეს ლოცვა, ღილინი, ცხოვრებიდგან გადგომა არავის არ მისცემს ძალას შეადგინოს შესასიშნავი საშვილი-შვილო ქმნილება.

ზოგს ეს განშორება პოეტის მაღალ-ხიდის ნიშად მიაჩნია და განდგომაში ჸქედავენ მშვენიერ უძანვო, უგდავის ტორმის დასაბამს. აღელვებული გული კერაივერი მასწავლებულია მშვენიერებისა, იძსიას სულით დაგვალულები. დაად, ჭემარიტი სიტყვაა, აღელვებული პოეტი გრ მოახერხებს შმვენიერ სურათის. შედგენის, როდესაც ჩქარობის დამშვიდობა, დაიცხოროს გული, დაიკიტეთს, —თავის დარდები სადმე ურიგობასით, მაგრამ თუ მას გუსტია სამხეჭდაო ტრიბუნად, ეს სამხეჭდაო უკეცელია დასახვებს რა არის სიმშვენიერე და სადუნდა ექვებოს იგი მწერალმა. ტრამა და შინაარსი არივ საჭიროა პოეტის ქმნულებისათვის, რონივ ცხოვრების ნაყოფ-

ნი არიან. მარტო რიგშე აკინწლებდი, ერთი-ერთმანერთთან გაწყობილი სიტყვები არ შეადგენებ ქმნელების სიმშევნიერებს. ოთვა გული არას ეუბნება სიტყვა, ანუ ლექსი, სულ ფუჭია, უმნიშვნელოა, რა გინდ ტკბილის სმითაც უნდა სოჭებას აკრორმა. კაცის ალბად არ ესმის პოეზიის მნიშვნელობა ცხოვრებისათვის, არ იცის რა როლს თამაშობს იგი ჩალხის შეგნებაში, არ გამოურკვება არც თავის შეხედულობა, არც კაცის ბუნება, ოთდესაც პოეტის კალდებულისა ჭიდის იდგეს ცხოვრების გარეთ, თავის საკუთარი გული ჭრნდეს მაღნად, საიდანაც უნდა იღებოდეს ტკბილი, დამამშვიდებული სმები, აწილებულნისამდვილ საზოგადო გაწყობილებას. ჭანტაზის ღუღუნს რომ კაცისათვის თვალები არ აქა და ცხოვრება არ დაემალა, რასაკვირკველია, კარგი იქნებოდა. ადამიანის გატაცებს ნამდვილ მდგრძარებილას, მაგრამ, საუბედუროდ, შეუბრალებული ბუნების კანონი არავის არ აძლევს ხებას მიუცეს უდროოდ განცხოვმას, გატაცებას. ბანგით დამოკრალი მცირედ სანს ჭედავს სასიამოვნო სურათებს, მერმე კი უარესად ეჩაგრება გული. ჭანტაზით გატაცებულს კაცის ცხოვრება არ აძლევს დიდ-სხობით ფრთის გაშლის ხებას; უცებ, მოუღოლენებულად, სცემს იგი თავის ზარს გატაცებულს და აწევლინებს თავის-თავს მცირედსანს განცხოვმის მიცემისათვის.

სულ სსკა შედეგი მოსდევს, ოთდესაც პოეტი, განცდომის მაგიერ, უპირდაპირდება ცხოვრებას, უურს უგდებს ხალხის გულის ფეთქეს, ჭიდავს მის ჭმუნვას, ჭკნესას, სიხარულს, გაშვეროთებას, ჭმარობს ღონისძიებას დააუქნოს ჭეშმარიტ კვალზე ხალხის სულის მიღრეკილება, აჭ პოეზიას, პოეტის არ გაჭეავს კაცი ცხოვრებიდამ, არ უჭრელებს თვალებს უქმის ფანტაზიის სურათებით, ჩრამედ ცდილობს გამხნეოს ჭანტატებისათვის.

ნამდვილი პოეტი არას დროს უდაბნოში არა დადადებს. იგი დასცექრის ხალხის გულს და იქიდან იღებს ძალას, ძასალას თავის ქმნელებისათვის. რაც უფრო ღრმად ჩაიხედავს კაცის მღელვარე გულში, მით უფრო ძალა და მნიშვნელობა ემატება პოეტის სმას. «რა ზედ-მიწევნით იცის კაცის ბუნება, რა სი- მართლით ჭავარის კაცის გრძნობას, რამდენჯერ გამომივლია, გამომიცდია მე თითონ ეგ მწეხაოება, სისარული... ისე დავ- ცერი ამ დასატულ სურათს, როგორც ჩემის საკუთარ ცხოვ- რების ნაწყვეტის!» სშირად ესმის ეს სიტყვები პოეტის თავის მკითხველისაგან. ჟემარიტი ქმნელება უსარავს შეუცვლელად საზოგადოებას, ხალხს მისვე მწეხაოებას, სისარულს, მაგრამ კიდოვ პოეტი მიეკარება, ეს გრძნობანი უსახელოდ, უწორმოდ მოძრაობებს ადამიანის ტკინში. პოეტი თავის დაკვირვებით, თა- ვის უურ-მასვილობით აძლევს მათ სახეს, ჭორმას, არქმევს სა- სულს და მისა შინაარსი უკედას თავისი საკუთრება ჭირნია.

გრიგოლ ღრიელიანის ღექვებში ჩენ კეთა კპროებთ ამ კაცის გამამხნეულებრივ პოეზიას. იგი ცრუებლით საკუ თვალებით დასძახის საზოგადოებას: «რა არის კაცის სიცოცხლე თუ არა საჭმე კეთილი!» პოეტი თითონებ იქნებულობს, რომ კაცის და- ნიშნელება ქვეყანაზე კეთილი საჭმე იყოს. ისტორიას, საკუთარ გამოცდილებას ერთხელ და ორჯერ არ დაუხასკება მისთვის, რომ კეთილი საჭმე და კაცის ცხოვრება ძალიან იშვიათად მო- თავსებულან ერთი-ერთმანერთან. პოეტის აღელვებული გული არა მშენიდვება თვით მშენიერ დილის სურათითაც; ან კი რო- გორ უნდა დამშენდეს კაცის გული, როდესაც ამ დილას, «საჭ- სეს უფროვალავის მშენებით, კაცა ჭიროს სისხლი კაცისა!»

წარსული დაწმუო საჭართველოსათვის თვალ-წინ ეხატება პოეტს. მას იპყრობენ შეკვეთის ფიქრები და სასო-წარკვეთილებით იძახის:

«და რაც დაეცა,  
ის წარიტაცა

შავმა ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი.»

ჩვენ არა ვართ უანგარიშოდ მოუკარული ძველის დროებისა, მაგრამ გაუგებლობად ჩაეთვლება კაცასა, რომ პოეტის ამ წმინდა სიყვარულს სამშობლოსადმი შატრივი არა სცეს.

### III

